ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba





„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ — პროექტი ყველა ასაკის მკითხველისთვის

გვ.3




პარასკევი, 18 მარტი, 2011 | №65 (5446) | ფასი: 30 თეთრი

# სააკაშვილს უნდა, რომ სათავეში 2015 წლამდე დარჩეს

გვ.2



მე თხოვნა მექნება ყველა ჩემი კოლეგის მიმართ, რომ არც ერთი ფრთიანი ფრაზით არ გადავწყვიტოთ ჩვენი ხალხის მოტყუება და ტყუილში ცხოვრება. იმიტომ, რომ არავინ არ ტყუვდება. ჯობია, ხალხს სიმართლე ვუთხრათ



## მანდატურები მასწავლებლებს ავიწროვებენ

ოპოზიცია შაშკინზე კომპრომატებს აგროვებს

გვ.4

## დაანონსებული კატასტროფები დედამიწაზე არ მოხდება

გვ.5



გვ.4

## რატომ გაიზარდა შეიარაღებულ ძალებში გასაწვევთა რაოდენობა



## სააკაშვილის შემცვლელს ამერიკა ნაციონალებში ეძებს

გვ.5

## ალასანია შსს-ს გაკონტროლებას ითხოვს

გვ.6





## სომხური ოპოზიცია გააქტიურდა

გვ.3



გვ.7

## სააკაშვილს ატომური სადგურის მშენებლობის მცდელობა ჰქონდა

## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

6 რამდენი ნარკომანია საქართველოში

8 ნინო ანანიაშვილმა ორდენი მიიღო

9 ჩემპიონთა ლიგის ყველა მეოთხედფინალისტი ცნობილია

10 დავით მაღრაძე ნობელისთვის იბრძოლებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სააკაშვილს უნდა, რომ სათავეში 2015 წლამდე დარჩეს

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნესტან კირთაძე ქვეყანაში რევოლუციური ფონის არსებობას არ უარყოფს, თუმცა, მიაჩნია, რომ არსებულ ვითარებაში ოპოზიციონერი ლიდერების მხრიდან რევოლუციის მოხდენა ფაქტობრივად შეუძლებელია. აანალიზებს რა სახალხო კრების ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურის — ნინო ბურჯანაძის განცხადებებს და ფაქტობრივად მუქარის ტონს, ღიად აცხადებს, რომ ბურჯანაძემ უკვე წააგო.**



რაც შეეხება ხელისუფლებას და თავად პრეზიდენტის რესურსს, შეინარჩუნოს ძალაუფლება, ისტორიის პროფესორი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილს ამის რესურსი ჯერ კიდევ აქვს.

— ამოუწურავია ძალაუფლების შენარჩუნების რესურსი. ეს ლიბიისა და მოამარ კადაფის მაგალითზეც ჩანს. ამით კადაფის ან სააკაშვილის ძლევამოსილებაზე კი არ მივანიშნებ, არა, პოლიტიკური ტექნოლოგიური პროცესია ამოუწურავი. რისი შიშიც მაქვს. ამ ამოუწურავ რესურსში სააკაშვილს კიდევ ბევრი რესურსი აქვს დარჩენილი იმისათვის, რომ ჩვენი დამშეული და უპერსპექტივობისთვის განწირული ხალხის ემოციები ახლა სხვა მიმართულებით არ წარმართოს. ესეც ნაცადი და საინტერესოდ გამოყენებული ხერხია, — აცხადებს **ნესტან კირთაძე** და არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილმა საკუთარი გუნდის განწმენდის პროცესი წამოიწყოს და ერთი-ორი მსუყე ფიგურა მოიშოროს.

***— ქალბატონო ნესტან, რამდენად არის ქვეყანაში რევოლუციური ფონი, რაზეც ბურჯანაძე და სხვა ოპოზიციონერები მიანიშნებენ?***

— მოდით, რეალური შეკითხვა რამდენიმე ნაწილად დავყოთ. პირველი: რამდენად არის ქვეყანაში რევოლუციური ფონი. ღიად ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი არის უკიდურესი გაჭირვების მდგომარეობაში და უკიდურესი მოთმინების ზღვარზე. ეს არ არის ოპოზიციური მომხიბვლელი რიტორიკა. ეს არის ქვეყნის რეალობა. მაშინ, როდესაც ტელევიზიები ტირაჟირებას უკეთებენ მცირეწლოვანი ბავშვის შიმშილით სიკვდილის ფაქტს; როდესაც ტირაჟირებას უკეთებენ ხალხის თვითმკვლელობის ფაქტებს უიმედობისა და შიმშილობის გამო, ეს მართლაც არის უმძიმესი რეალობა. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა რეალურად შიმშილით სიკვდილის ზღვარზეა. ქვეყანა სოციალური აფეთქების ზღვარზე დგას. ამასთან, დგას უკიდურესი გამოცდის წინაშე. მაგრამ ამავდროულად რეალობაა ისიც, რომ სამარშრუტო ტაქსის მძღოლებმა გაფიცვის და პროტესტის მხარდაჭერის საოცარი მაგალითი აჩვენეს. მათ გაბედული ნაბიჯი გადადგეს და გააცხადეს, რომ ასეთი მონოპოლიების და ასეთი კაბალური სამუშაო პირობებით მათ მუშაობა არ შეუძლიათ. ყველა ელოდა, რომ ეს აქცია მომდევნო დღეებშიც გაგრძელდებოდა და მივიდოდა ხელისუფლების კონკრეტულ დათმობამდე, ანუ კონკრეტულ შედეგამდე. მაგრამ პროცესმა მიიძინა მხოლოდ ოქტომბრამდე დაპირებით. ასევე მიიძინა სამედიცინო სფეროს მიერ გამოხატულმა პროტესტმა. პროფესიულ ღირსებაშელახული ჩვენი ექიმებიც გაჩუმდნენ ორ-სამ დღეში. გავაანალიზოთ, ერთის მხრივ, მოცემული რეალობა არის უკიდურესად მძიმე, მეორეს მხრივ — ვინც უნდა შექმნას რევოლუციური პროცესი, ის ხალხი გაჩერებულია. ვინ არის რევოლუციური პროცესის განმახორციელებელი — პოლიტიკური ლიდერები და მათი განცხადებები? არა. ამის განმახორციელებელია ხალხი, რომელიც საკითხავია, არის მზად, აიღოს პასუხისმგებლობა განახლებაზე, ხვალინდელ დღეზე? მეორე, მეტად მნიშვნელვანი ფაქტორია, პასუხისმგებლობის ფაქტორი. თუ ხალხი მზად არის არა უკან, 20-30 წლით დასაბრუნებლად, არამედ უკეთესი მომავლისთვის ცვლილელებისთვის, მაშინ ვთქვათ, რომ რევოლუციური პროცესის საფუძველია. თუ ეს არ არსებობს, რაზეც მივანიშნეთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ასეთი ვითარება არ არსებობს და ვთქვათ პირდაპირ: პოლიტიკური ლიდერების განცხადებებით ქვეყანაში რევოლუცია არ ხდება. რევოლუცია არის უაღრესად რთული პროცესი და ამ პროცესს ქმნის ხალხი და არა პოლიტიკური პარტიების ლიდერების განცხადებები.

***— რისი იმედი აქვთ სახალხო კრების ორგანიზატორებს და ქართულ პარტიას, რომლებიც მოსალოდნელ რევოლუციაზე აკეთებენ განცხადებებს? მათი აზრით, ხალხი რევოლუციისთვის მზად არის.***

— ეს არის ლოგიკურად გადასვლა უკვე ხალხის მზაობის შეფასებიდან, პოლიტიკური პარტიების ლიდერების განცხადებების შეფასებაზე. პოლიტიკური პარტიის ლიდერობა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს პასუხისმგებლობის გააზრებას მთელი საზოგადოების წინაშე. თუკი ვინმე დღეს განცხადებას აკეთებს, რომ ამ ქვეყანაში უნდა მოხდეს რევოლუცია, ეს მინიმუმ ნიშნავს თუ არა იმას, რომ ეს ლიდერები ანუ ამ განცხადების ავტორები მინიმუმ ნახევარი წლით ადრე თუ უფრო ადრე არა, მუდმივ და ყოველდღიური კონსულტაციების რეჟიმში უნდა იყვნენ ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერთან და ყველა საპროტესტოდ განწყობილ სოციალურ ჯგუფთან. დღეისათვის ეს ასე არ არის და ძალიან ცუდია. აქ არის ორი მთავარი მომენტი. პირველი — პროცესი უნდა იყოს კოორდინირებული და კარგად შეთანხმებული დაწყებული, რა იქნება მეორე დღიდან, დამთავრებული გრძელვადიანი პერსპექტივით: როგორი იქნება ჩვენი ქვეყანა, მისი საშინაო და საგარეო კურსი, პრიორიტეტები. რა ეშველება ამ კონსტიტუციას, რომელიც უკვე გაგვიმზადეს ერთპარტიულ რეჟიმში და გვითხრეს, რომ საქართველოს პარლამენტი იქნება სრულიად უუნარო, ნოტარიუსზე დაბალი ფუნქციის. როგორი იქნება სასამართლო, მედიის საკითხები. ყველაფერი ეს ხომ შეთანხმებული უნდა იყოს და ხალხის წინაშე გამოტანილი? ხალხს ხომ უნდა უთხრან, რა იქნება მომავალში რევოლუციის შემდგომ და რა პასუხისმგებლობით მოდიან თუნდაც კოალიციური ხელისუფლების პირობებში? ეს ასე არ არის, თუმცა, მეორეს მხრივ გვესმის, რომ ეს ოპოზიციური ლიდერები, ვინც რევოლუციაზე საუბრობს, ერთმანეთს არ ენდობიან. ისინი უკვე ერთმანეთს ასმენენ. ხალხი დასვამს ლოგიკურ კითხვას: თუ თქვენ ერთმანეთს არ ენდობით, მე თქვენ როგორ გენდოთ? ან რას ნიშნავს განცხადებები, თუ ჩემ გვერდით არ დადგებით, მე თქვენ შესახებ ყველაფერს ვიტყვი. შანტაჟის გზით მოხდენილი პროცესი იქნება თუ არა მხოლოდ აგრესია, მხოლოდ ძალადობა, რომელიც კიდევ უფრო მეტი უბედურების წინაშე აღმოაჩენს ქართველ ხალხს. ამიტომაც ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ერთიანი პასუხისმგებლობა პროცესისა, პოლიტიკურ ლიდერებს შორის და ლიდერებისა ხალხის მიმართ; და მეორეს მხრივ — თვითნებობა, აგრესია, შანტაჟი, ჩარეცხვების, კომპრომატების და ასეთი ტიპის განცხადებების გაკეთება.

***— ანუ ნინო ბურჯანაძემ ამ ტიპის განცხადებებით შეცდომა უკვე დაუშვა?***

— მე არ მომისმენია, მაგრამ კომენტარები უკვე გაჩნდა ინტერნეტ სივრცეში. მაგრამ ყველა ის ლიდერი, რომელიც კოლეგის მიმართ შანტაჟის ენაზე დაიწყებს საუბარს, უკვე არის უსერიოზულესი შეცდომის წინაშე. იმიტომ, რომ განახლებისთვის ბრძოლა, უდიდესი პასუხისმგებლობაა. შანტაჟი პასუხისმგებლობა არ არის. პასუხისმგებლობა არის კოორდინირებული, შეთანხმებული, მრავალკონსულტაცია გამოვლილი შედეგი და არა ემოციური განცხადებები.

***— პოლიტიკოსთა ნაწილი ამტკიცებს, რომ რევოლუციას ხელისუფლება ახდენს და რომ სააკაშვილის ხელისუფლებას დღეს რევოლუცია აწყობს. ასეა?***

— თეორიის დონეზე არც ეს არ არის გამორიცხული. ანუ არ არის გამორიცხული, ხელისუფლებას სჭირდებოდეს გარკვეულ ზღვრამდე, მართვადობის გარანტირებულ ფორმებამდე, ერთადერთი მიზნით — დაასწროს მოვლენებს, მათ შორის ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ და დაიწყოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამოცხადების საფუძვლების შექმნა.

***— რაზე მიანიშნებთ, ხელისუფლებას ეშინია სახალხო კრების მიერ აქტიური პროცესების დაწყების, რაც წინასწარ დაანონსდა?***

— აქ არ არის ლაპარაკი მარტო იმაზე, რომ ხელისუფლებას ეშინია ვიღაცის გამოცხადებული რევოლუციის. უბრალოდ, ხელისუფლება ჩიხში მოექცა და მისივე გადაწყვეტილებების მსხვერპლი გახდა, როდესაც კონსტიტუციურ კოლიზიაში მოხვდა. 6 თვით პარლამენტმა გაიგრძელა უფლებამოსილება, 9 თვით — პრეზიდენტმა. სააკაშვილმა შექმნა ახალი პოლიტიკური კალენდარი. ეტყობა, ამ კალენდრიდან ველარ გადათვალა და ვერ გაიაზრა, რომ ამ სიტუაციაზე ყურს არავინ წაიყრუებს. მე უფრო მეტად მენიშნა, როცა სააკაშვილი პარლამენტში გამოსვლისას 2015 წელს ახსენებდა. როგორც ჩანს, 2011 წლის შემოდგომა მას უკვე განზრახული აქვს, რომ ჩაატაროს საპარლამენტო არჩევნები. ამ შემთხვევაში ხელისუფლება 4-წლიანი ციკლის ფორმატში ჯდება. მე ამას არ ვამბობ, რომ ეს ასე იქნება. თუმცა, მოვლენები შეიძლება ამ სცენარითაც განვითარდეს.

***— შეიძლება სააკაშვილს ხელისუფლების შიგნით შიდა რევოლუციაც მოუწყონ და ამის ეშინოდეს სააკაშვილს? ბოკერიას საეჭვოდ გააქტიურებაზე არაერთი მიანიშნებს.***

— ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რადგანაც მართალი გითხრათ, ასეთი ტიპის ინფორმაციები მე პირადად არ მაქვს. შიდა სახელისუფლო განხეთქილება არაერთგზის მომხდარა საქართველოს ხელისუფლებაში. რატომ გამოვრიცხავთ პოლიტიკის ანატომიით და ნაციონალების კარგი მადით მოვლენათა განვითარების ასეთ ფორმატს?! ამით გამოცდილება არის და შეიძლება ხვალ ეს რეალობაც იყოს.

***— ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ ის რევოლუციური არჩევნებისთვის ემზადება. რამდენად შესაძლებელია ეს იგივე ოპოზიციური რვიანის მუშაობის შედეგად, რომლის ლიდერებიც ველარ მალავენ მოლაპარაკებების უშედეგობას.***

— ალასანიას რისი იმედი აქვს, ეს მას უნდა ჰკითხოთ. თუმცა, მე თხოვნა მექნება ყველა ჩემი კოლეგის მიმართ, რომ არც ერთი ფრთიანი ფრაზით არ გადავწყვიტოთ ჩვენი ხალხის მოტყუება და ტყუილში ცხოვრება. იმიტომ, რომ არავინ არ ტყუვდება. ჯობია, ხალხს სიმართლე ვუთხრათ. სიმართლე კი ის არის, რომ ეს მოქმედი რვიანი და ეს მოლაპარაკება, რომელიც განწირულია უშედეგობისთვის. ეს პირდაპირ უნდა ვთქვათ. ალასანია ვერავითარ რევოლუციურ არჩევნებს ვერ მოახდენს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ თუ ქვეყანაში ის ცვლილებები არ განხორციელდა, რაც ლეიბორისტულმა პარტიამ რამდენიმე დღის წინ გააჟღერა, ხელისუფლების შეცვლა ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება. პრობლემა ნომერი პირველი: მაჟორიტარები. თუ არ მოხერხდა ამ ინსტიტუციის ლიკვიდირება, რაღას პერიოდის მანძილზე მაინც, ვერავითარი რევოლუციური არჩევნები საქართველოში ვერ ჩატარდება. ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ეს 75 მაჟორიტარი, რომელიც დღეს პარლამენტშია, არ არის პროფესიონალი პოლიტიკოსების კლუბი. ეს არის ოლიგარქების, მილიონერების კლუბი, რომლებმაც სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა გზით იშოვეს მილიონები და მოახდინეს ამ თანხის პოლიტიკაში კაპიტალიზაცია. ეს ადამიანები პარლამენტში ერთადერთი ნიშნით არიან — ხელისუფლების ერთგულების ნიშნით. ისინი ხელოვნურად ქმნიან კონსტიტუციურ უმრავლესობას. ეს უპასუხისმგებლო ადამიანები, რომელთა გონება და მოღვაწეობის მთელი 24 საათი მიმართულია, როგორ გაამრავლონ მათი მილიონები, ჩვენ მიშვებულები გვყავს ქვეყნის, სახელმწიფოს და ხალხისთვის გადაწყვეტილებების მისაღებად. მე ვუსვამ ასეთი შეკითხვას გიორგი თარგამაძეს, ირაკლი ალასანიას და ყველა იმ რვიანის წევრს: როგორ წარმოგიდგენიათ თქვენივე მიღებული კანონებით, ჯერჯერობით ნდობა არ არის გამოცხადებული, დიდ ქალაქებში პირდაპირი წესით იქნეს არჩეული იმ რაიონის პირველი პირი. თუ ეს დაუშვებელია, რატომ არის დასაშვები იმ რაიონის არჩეული მაჟორიტარი, როგორც ხალხის ჯიბეებიდან ამოღებული ფულით მოსარგებლე ტიპების შეყვანა საქართველოს პარლამენტში. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, სანამ საქართველოში არ მოხდება დიდი ქალაქების მერების პირდაპირი წესით არჩევა და ამის ნდობის საფუძველი არ გაჩნდება კონსტიტუციის დონეზე, უნდა დავივიწყოთ და გავაუქმოთ მაჟორიტარების კორპუსი, როგორც პოლიტიკური სისტემის ნაწილი. როგორ წარმოუდგენიათ ალასანიას, თარგამაძეს და სხვებს, სანამ ცესკო არ შედგება პარიტების საფუძველზე, რომელიც შიდა კონკურენციის დონეზე იქნება პასუხისმგებელი თავისუფალი არჩევნების შედეგებზე, მანამდე რევოლუციურ არჩევნებზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ კანონის დონეზე არ ჩაიწერა ხმების ხელახალი გადათვლა საჭიროების შემთხვევაში, რომელმაც შეიძლება არჩევნების შედეგიც შეცვალოს, რევოლუციურ და მით უმეტეს, თავისუფალ არჩევნებზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ კანონის დონეზე არ განისაზღვრა, რომ არჩევნები გახდეს სავალდებულო საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხი ქვეყნის შიგნით და გარეთ უნდა იყოს მობილიზებული, რადგან ისინი ირჩევენ ქვეყნის მომავალს, მანამდე თავისუფალ არჩევნებზე ლაპარაკი არ იქნება. სავალდებულო არჩევნებით უნდა წავართვათ ამ ხელისუფლებას მიტაცებული ხელისუფლება და ხალხმა უნდა დაიბრუნოს თავისი ძალაუფლება.

***— რაზე მიანიშნებთ, ამ ეტაპისთვის ოპოზიციის ორივე ფრთა უკვე წაგებულ მდგომარეობაშია არჩევნებზე წამსვლელიც და ე.წ. რევოლუციონერებიც?***

— წაგებულია საქართველო. ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომელი ლიდერი წააგებს თუ მოიგებს, მიზანია — ქვეყანამ მოიგოს. არც ერთი მიმართულებით, არც მეორე მიმართულებით, საქართველო არ მოიგებს. მოიგებს მხოლოდ მაშინ, როცა ხალხს დავუბრუნებთ ერთპარტიული რეჟიმისგან მიტაცებულ ძალაუფლებას.

***— წინასწარ წაგებულ ბრძოლაში შედიან ბურჯანაძე და მისი თანამოაზრეები?***

— ქვეყნისთვის ასეა. მაგრამ ლიდერებისთვის ეს შეიძლება მეტ-ნაკლები წარმატების მომტანი იყოს. მაგრამ შეცვლის ეს პოლიტიკურ რეალობას?!

***— მეტ-ნაკლებ წარმატებაში ფინანსურ სარგებელსაც გულისხმობთ თუ მხოლოდ დროებით პოლიტიკურ დივიდენდებს?***

— ორივეს. იმიტომ, რომ უკვე იყო აქტიურ პოლიტიკაში ნიშნავს იმას, რომ გქონდეს შენი იმუნიტეტი, პრივილეგიები, სარგებელი ფინასურიც, პოლიტიკურიც, იდეოლოგიურიც და ა.შ.

## პარლამენტში აფხაზთა თვითმყოფადობის დაცვაზე იმსჯელებენ

დღეს პარლამენტში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის სხდომაზე აფხაზთა თვითმყოფადობის დაცვაზე იმსჯელებენ.

მისი მონაწილეები აფხაზთა იდენტობისა და ერთიან ქართულ სახელმწიფოში მათი ინტეგრირების თვალსაზრისით შექმნილ ვითარებაზე, პრობლემებსა და პერსპექტივებზე ისაუბრებენ. სხდომაზე მოხსენებებით გამოვლენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი თემურ გვანცელაძე და ამავე ინსტიტუტის პროფესორები: მანანა ტაბიძე და მერაბ ნაჭყებია.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეველაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოჩიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებულ მასალებში სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ — პროექტი ყველა ასაკის მკითხველისთვის

ეკა ირემაშვილი

**21 მარტიდან გაზეთი „ახალი თაობა“ იწყებს ახალ პროექტს სახელწოდებით „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“. ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, გამოიცეს 100 წიგნი ყველა იმ ადამიანზე, რომლებმაც რეალურად დიდი გავლენა მოახდინეს მსოფლიოზე. საჭიროა თუ არა ეს პროექტი და ვის წაკითხვას ისურვებდნენ ასტომეულში ცნობილი კინორეჟისორები, მსახიობები, კომპოზიტორები და ქართული კულტურის სხვა წარმომადგენლები, ამ საკითხზე ისინი „ახალ თაობას“ თავად ესაუბრნენ.**

**ვაჟა აზარაშვილი**, კომპოზიტორი:



— მე ომამდე დავიბადე. მახსოვს სტალინის პიროვნება, ჩვენი მამები წასულები იყვნენ ჯარში, ერთი სამშობლო იყო — საბჭოთა კავშირი და ყველა მას ემსახურებოდა. ისტორიის ცოდნა, განსაკუთრებით ასეთ ცნობილ ადამიანებზე, რა თქმა უნდა, ყველასთვის საჭიროა. „ახალ თაობას“ ძალიან კარგი პროექტი წამოუწყია. თუნდაც განდი, სტალინი, ნაპოლეონი — ყველა ეს ადამიანი ნამდვილად არის ის პიროვნება, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო. ჩვენ ისტორია და ჩვენი წარსული არ უნდა დაგვავიწყდეს. ყველა ის მნიშვნელოვანი ადამიანი უნდა ჩართოთ იმ პროექტში, ვინც ამას იმსახურებს.

მივესალმები თქვენს წამოწყებას, მომავალი თაობა ნამდვილად უნდა იცნობდეს ამ ადამიანებს. დღევანდელი თაობა ხისტად უყურებს წარსულს, რაც არ არის სწორი. პროექტი „ადამიები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ ძალიან კარგი წამოწყებაა და წარმატებას გისურვებთ.

*— თქვენ ვის შეიყვანდით ამ ასტომეულში?*

— მე მაინც კომპოზიტორი ვარ და ამიტომ ხელოვნება განსაკუთრებულად მიყვარს. ჩემთვის ზაქარია ფალიაშვილი, ბახი, ბეთჰოვენი, ჩაიკოვსკი, პროკოფიევი ნამდვილად არიან ის ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო.

**გოგი დოლიძე**, კინომცოდნე:

— ხომ გაგიგიათ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. ასეა თქვენი საქმეც, მაგრამ მაინც მივესალმები თქვენ მიერ წამოწყებულ პროექტს. ცოტა გვიანი კი არის, მაგრამ მჯერა, რომ პროექტი „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო,“ აუცილებლად გამოიღებს თავის შედეგს. ახლა ძალიან შეიცვალა დამოკიდებულება წიგნის მიმართ. ტელევიზიამ ჩაყლაპა ყველაფერი. მიხარია, რომ დაიწყეთ ეს პროექტი და ხომ იცით, კარგად დაწყებული საქმე ნახევრად გაკეთებული საქმეა.

*— თქვენ ვის გაეცნობოდით ამ ასტომეულში?*

— მე ყველა ტომს სიამოვნებით გავეცნობი. მჯერა, რომ თითოეული მათგანი საინტერესო იქნება. გამიხარდება, თუკი ამ ტომებში შევა



ალექსანდრე მაკედონელი, სტალინი, ნაპოლეონი. მართალია ისინი ტირანები იყვნენ, მაგრამ მათ თავიანთი პლუსები და მინუსები ჰქონდათ. ამ ადამიანების გაცნობა და მათზე ინფორმაციის წაკითხვა ნებისმიერი ადამიანისთვის აუცილებელია. ეს ინიციატივა ხელიდან არ უნდა გაუშვათ, იმიტომ, რომ ძალიან კარგი წამოწყებაა. მივესალმები თქვენ მიერ წამოწყებულ პროექტს, ნამდვილად ძალიან კარგია, გისურვებთ წარმატებებს და მიგულეთ თქვენ გვერდით!

**რეზო ესაძე**, მსახიობი, რეჟისორი:



— როდესაც კაცი ხელში წიგნს დაიჭერს, ეს უკვე მთელი აქტია. ძალიან კარგი პროექტი წამოგიწყიათ, მიხარია. თვითონ წიგნი წარმოადგენს სხეულს, რომელიც იწვევს განწყობას. კომპიუტერი არის დამხმარე და არა გადამწყვეტი რამ. პროექტი „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“, ნამდვილად საინტერესო იქნება არა მარტო ახალგაზრდებისთვის, არამედ ყველასთვის. მივესალმები თქვენს პროექტს და მიხარია, რომ ასეთ ადამიანებზე წიგნები გამოვა. ყველას მოვუწოდებ, ჩაერთონ ამ პროექტში და წაგებულები ნამდვილად არ დარჩებიან.

*— თქვენ ვინ მიგაჩნიათ ასეთად?*

— პლატონი, სოკრატე, რუსთაველი. ესენი ჩემთვის ის ადამიანები არიან, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო.

**ჯუმბერ ჯანდიერი**, კომპოზიტორი:



— რა თქმა უნდა, ასეთი პროექტები უნდა კეთდებოდეს. სწორედ რომ დროულად დაგიწყიათ ამ პროექტის კეთება. მივესალმები თქვენს მოსაზრებას, წარმატებებს გისურვებთ. ადრეც კეთდებოდა ეს რუბრიკა, მაგრამ ახლა თქვენ რომ დაინტერესდით, ძალიან კარგია. ვინ რა ჩაიდინა და როგორ ჩაიდინა, ამას ისტორია აფასებს. მთავარია, რომ თქვენ საზოგადოებას მიაწვდით ინფორმაციას იმ ას ადამინზე, ვინც რეალურად შეცვალა მსოფლიო, მე როგორც მეცნიერი, ხელოვანი, მწერალი, პუბლიცისტი და კომპოზიტორი, გეთანხმებით ამ პროექტში, ნამდვილად დიდებული აზრია, ყველამ უნდა იცოდეს, რომ დაუბრუნდეს წარსულს, სადაც ბევრი უნიკალური ინფორმაციაა. ეს პროექტი მსოფლიო ღირებულებების მატარებელია.

*— თქვენთვის გამორჩეული პიროვნება ვინ არის?*

— პოლიტიკოსებთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩემთვის დიდი პატივი ინება, თუკი ხელოვნებაზე უფრო მეტს იმუშავებთ. როგორც კომპოზიტორისთვის, ჩემთვის რახმანინოვი გენიოსია. მას ვეთაყვანები. კიდევ ერთხელ გილოცავთ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის წამოწყებას და წარმატებებს გისურვებთ.

**გოგი ქავთარაძე**, მსახიობი, რეჟისორი:



— ძალიან საინტერესო პროექტი წამოგიწყიათ. წიგნი საოცრებაა, რომელიც ყველა ადამიანს აჯადოვებს. პროექტი „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ სწორედ რომ დროულია. მისი გამოცემა საჭირო და აუცილებელია.

*— თქვენ ვის შეიყვანდით ამ ასეულში?*

— გალაკტიონს. გალაკტიონი ჩემთვის მოვლენაა. მისი თარგმანი არ არის ყოველთვის ისეთი გენიალური, როგორც ორიგინალში. გალაკტიონისთვის პოეტი ცოტაა, ის გაცილებით მეტი იყო. მომავალმა თაობებმა აუცილებლად უნდა წაიკითხონ ეს წიგნები და გაეცნონ იმ ადამიანებს, რომლებმაც მსოფლიო შეცვალეს.

**გია მაჭარაშვილი**, კომპოზიტორი:

— პროექტი „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ ნამდვილად კარგი წამოწყებაა. სხვა თუ არაფერი, მომავალი თაობები ყველაფერს შეიტყობენ იმ ადამიანების შესახებ, ვინც რეალურად შეცვალა მსოფლიო. ალბათ თქვენ უკეთესად იცით, ვინ უნდა შეიყვანოთ ამ ასტომეულში, მაგრამ ნამდვილად საინტე-



რესო და კარგი პროექტი გამოგივათ. ჩემი ოცნებაა, ახალმა თაობამ კიდევ უფრო მეტი იცოდეს თავისი ქვეყნის, მსოფლიოს შესახებ. თქვენი პროექტის საშუალებით კი ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდება. დღეს რატომღაც აღარ აინტერესებთ ახალგაზრდებს ისტორია და წარსული, ამიტომ ვისურვებდი, თქვენს პროექტს მაინც მოებრუნებინოს ისინი წიგნისკენ. პროექტი „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოლიო“, დროული და კარგია. მას პერსპექტივა და მომავალი აუცილებლად აქვს.

# სომხური ოპოზიცია გააქტიურდა

თეა მარხვაი ე

**მშობლიური ოპოზიცია სააკაშვილის შესაცვლელად აქტიურ მოქმედებებზე მარხვის დასრულების შემდეგ გადავა. სომხური ოპოზიცია კი თავის ხელისუფლების შესაცვლელად შუაგულ მარხვაში დაირაზმა. გუშინ ერევნის ცენტრში ადგილობრივმა ოპოზიციამ ხალხმრავალი მიტინგი გამართა.**

ამ მიტინგისთვის სრულიად სომხეთი მზად იყო, რადგანაც ჩვენი ოპოზიციის მსგავსად აქციის ჩატარების თარიღი მათაც წინასწარ გამოაცხადეს. 17 მარტს ერევანში აქცია რომ გაიმართებოდა, ეს 1 მარტს იყო ცნობილი.

იმ დღეს ერევანში ხალხმრავალი აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენეს. ულტიმატუმის ტექსტი საზოგადოებას ქვეყნის ექს-პრეზიდენტმა ლევონ ტერ პეტროსიანმა გააცნო. ულტიმატუმი 15 პუნქტისგან შედგებოდა.

სომხეთის ხელისუფლებას ოპოზიციის მოთხოვნები 15 მარტამდე უნდა შეესრულებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი 17 მარტს დიდი აქციის მოწყობით იმუქრებოდნენ.

ჩვენი ხელისუფლების მსგავსად ოპოზიციის მუქარის არც სომხეთის ხელისუფლებას არ შეშინებია. შესაბამისად არც ოპოზიციის მოთხოვნები არ შესრულებულა.

ოპოზიცია პრემიერ-მინისტრისა და ეკონომიკური გუნდის გადადგომას ითხოვდა. მოთხოვნათა ნუსხაში გარევაჭრობაც შეიტანეს. ჩვენებურების მსგავსად გარევაჭრობა სომხეთშიც აუკრძალავთ. აქაური ოპოზიცია გარევაჭრობის დაშვებას ითხოვდა.

ამის გარდა ითხოვდნენ, რომ გაუქმდეს მანქანების სავალდებულო დაზღვევა. სომხურ ოპოზიციას ოპოზიციური არხის აღდგენის სურვილიც სწვავდა. მშობლიური ოპოზიციონერების მსგავსად ხელისუფლებას საომარ რიტორიკას ისინიც უწუნებენ. მათი თქმით, მთიანი ყარაბაღის პრობლემა მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყდეს.

ოპოზიციამ 2008 წლის მარტის თვეში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამოძიებაც მოითხოვა. ამ მოვლენების დროს ათი ადამიანი დაიღუპა. ოპოზიცია ითხოვდა, რომ ხელისუფლებამ თითოეული დაღუპულისთვის 100 ათასი დოლარი გადაეხადა.

ტერ-პეტროსიანმა და მისიანებმა ამერიკის ხელისუფლებასაც გაუგზავნეს მიმართვა. ისინი ითხოვდნენ, რომ ვაშინგტონმა სომხეთის ხელისუფლების მხარდაჭერა შეწყვიტოს.

ხელისუფლებამ ოპოზიციის მოთხოვნები არ შეასრულა და ისინიც იძულებული იყვნენ, დაანონსებული აქცია გაემართათ.

აქციისთვის საგანგებოდ მოემზადა ხელისუფლებაც. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, სამართალდამცავები ქალაქის ცენტრში იყვნენ მობილიზებული. ოპოზიციამ აქ-



ცია „მატენადერანას“ შენობასთან გამართა.

აქციაზე ერთ-ერთი პირველები ოპოზიციის ლიდერები მივიდნენ. ყველაზე პირველი აქციაზე ქვეყნის ექს-პრეზიდენტი ლევონ ტერ პეტროსიანი მივიდა. მას ფეხდაფეხ მიჰყვა სომხეთის სახალხო პარტიის თავმჯდომარე სტეპან დემირჭიანი. მალე იქ სხვა ლიდერებიც მივიდნენ.

„მატენადერანას“ შენობის სიახლოვეს განლაგებული სამართალდამცავები ოპოზიციის აქციას დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ. სამართალდამცავები დიდი რაოდენობით იყვნენ მობილიზებული საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

სომხური მედიის ცნობით, სამართალდამცავებს წყლის ჭავლის მანქანები და მავთულხლართებიც თან ჰქონდათ.

აქცია ოპოზიციამ წუთიერი დუმილით დაიწყო. ერევნის ცენტრში შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი ჯერ იაპონიაში მიწისძვრით დაღუპულებს მიაგეს. შემდეგ კი კადაფის მსხვერპლთა პატივისცემის ნიშნად დადუმდნენ წამიერად.

დაღუპულთა გახსენების შემდეგ ხელისუფლების კრიტიკაზეც მიდგა ჯერი. ოპოზიციამ ხალხს ხელისუფლების შეცვლის პირობა მისცა.

— ჩვენ არა გვაქვს უფლება თვითშემოქმედებით დავკავდეთ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ცვლილებებს. ამას კი პოლიტიკური ბრძოლა სჭირდება, — განაცხადა სიტყვით გამოსვლისას ლევონ ტერ პეტროსიანმა.

აქცია ისეთი მრავალრიცხოვანი არ გამოვიდა, როგორის იმედიც ოპოზიციას ჰქონდა. ამის მიუხედავად პეტროსიანი მაინც იმედიანად იყო განწყობილი.

— დღევანდელი აქცია ამ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. თუმცა, ჩვენ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ასე უცბად არაფერი არ შეიცვლება, — განაცხადა სომხეთის ექს-პრეზიდენტმა.

მისი განცხადებით, ოპოზიციამ ჭკვიანურად უნდა იმოქმედოს. პეტროსიანს მიაჩნია, რომ შედეგი მხოლოდ ასე დადგება.

— პოლიტიკა — ეს კრივი არ არის. პოლიტიკა არის ჭადრაკი. ჭადრაკში კი ჭკუით უნდა იმოქმედო. ჩვენც ასე ვიმოქმედებთ, — ამბობს ტერ პეტროსიანი.

ის პირობას იძლევა, რომ ერევნის ცენტრში აქციები ყოველდღე გაიმართება. სომხური ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ თავისას მიაღწევს. ჩვენს ოპოზიციასაც ასე ეგონა.

# მანდატურები მასწავლებლებს ავიწროვებენ

## ოპოზიცია შაშკინზე კომპრომატებს აგროვებს

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ოპოზიციასა და განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინის მიმართ პრეტენზიები აქვთ. ამ პრეტენზიებისა და მოსაზრებების შესახებ გუშინ პარლამენტში საუბრობდნენ, სადაც განათლების სფეროში მომუშავე ექსპერტები ოპოზიციას საკუთარ პოზიციებსა და შეხედულებებს აცნობდნენ.**

განათლების ექსპერტებმა თითქმის ყველა საკითხზე ისაუბრეს, დაწყებული 12-წლიანი სწავლებით, დამთავრებული მანდატურის ინსტიტუტით.

შეხვედარზე ისმოდა ასეთი მწვავე შეფასებებიც: „ჩვენი შვილები საცდელ ბაჭიებად იქნენ", „შაშკინმა სამინისტრო ჩაკეტა", „შაშკინს სკოლებში ციხის მოდელირება სურს".

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ გიორგი თარგამაძის შეფასებით, ზოგადი გაათლების დონე კატასტროფულად კლებულობს. თარგამაძემ განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრის რეფორმები აღნიშნა, რომ კახა ლომაიას რეფორმების დროს სრული დეცენტრალიზაცია იყო, ახლა კი სრული ცენტრალიზაცია ხდება.

გვექნება თუ არა მწვავე ტონი განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინთან საუბრისას? ეს კითხვა გიორგი თარგამაძემ შეხვედრაზე თავად დასვა და პასუხი თავადვე გასცა. თარგამაძის თქმით, მათ მინისტრთან საუბრისას მწვავე ტონი ექნებათ.

უმცირესობის ლიდერი ზოგადი განათლების დონეზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ ზოგადი განათლების დონე კატასტროფულად კლებულობს.

— ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ის, რასაც ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში ვიღებთ, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.




ექსპერტებთან შეხვედრის გარკვეული ნაწილი სკოლებში მანდატურების შესვლასა და მათზე საუბარს დაეთმო. განათლების ექსპერტების აზრით, სკოლებში მანდატურის შემოღება სკოლებზე პოლიტიკური კონტროლის სურვილს უკავშირდება.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები იმასაც აღნიშნავენ, რომ, ერთი მხრივ, მანდატურის ინსტიტუტს შესაძლოა დადებითი მხარეები ჰქონდეს, რადგან მანდატურს შეუძლია სკოლაში უცაბედი კრიზისი განმუხტოს, თუმცა, არსებობს ამ ინსტიტუტის ნეგატიური მხარეებიც.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წარმომადგენელმა ვიქტორია ბალავაძემ კანონში არსებულ ჩანაწერზე ისაუბრა, რომელიც მანდატურის მიერ „სხვა საშუალებების გამოყენებას" შეეხება". მისი თქმით, ეს საკითხი თუ არ დაზუსტდა, მაშინ ძალიან ბევრ პრობლემას შექმნის.

ვიქტორია ბალავაძემ ასევე მიუთითა ზოგიერთი მასწავლებლის გულისტკივილზე, რომლებიც ამბობენ, რომ მანდატურის ინსტიტუტის გამო ამ წელს ჩაამთავრებენ და მომავალი წლიდან პედაგოგობას თავს დაანებებენ.

ვიქტორია ბალავაძემ ერთი მაგალითიც მოიყვანა. კერძოდ, მანდატურს შეუძლია, პედაგოგს გაკვეთილზე კარი შეუღოს და ხმაურის შემთხვევაში აქტი შეადგინოს. ამ შემთხვევაში ჭირს მანდატურისთვის იმის ახსნა, რომ კლასში ხმაური მხოლოდ იმიტომ არის, რომ მასწავლებელს გარკვეულ საკითხზე დებატები აქვს.

— მასწავლებელმა მანდატურის მიერ განათლების სამინისტროში გაფრენილ უსამართლო აქტზე უნდა იზრუნოს თუ ბავშვებისთვის განათლების მიცემაზე? — იკითხა ვიქტორია ბალავაძემ.

მანვე ისაუბრა იმ დროზე, სანამ მანდატურები სკოლაში შევიდოდნენ და გაიხსენა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბავშვების „რაზბორკებში" მასწავლებლები ხშირად ერეოდნენ და სიტუაციას ვერ მუხტავდნენ.

განათლების ექსპერტების დიდმა ნაწილმა მანდატურის ინსტიტუტისთვის „სკოლის უსაფრთხო პროგრამის" დარქმევა გააპროტესტა. მათ არც ის კლიპები მოსწონთ, რომლებიც ტელეეთერით მანდატურებთან დაკავშირებით ხშირად ტრიალებს. ექსპერტები ამბობენ, რომ სკოლის უსაფრთხოება მხოლოდ მანდატურების სკოლაში შეყვანა არ არის.



სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების პროგრამების მენეჯერმა თამარ მოსიაშვილმა საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა როგორც მანდატურებთან დაკავშირებით, ასევე სხვა საკითხებზე. მისი შეფასებით, სკოლა ციხეებს ჰგავს.

ამ ფრაზის მოსმენის შემდეგ ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანმა იხუმრა: ჩვენთან სტანდარტია, ციხეებიდან და პროკურატურიდან ადამიანები უნდა გადავიდნენ განათლებაში.

— უსაფრთხო სკოლა ტოლია მანდატურის, ეს არასწორი შეფასებაა. ჩემთვის უსაფრთხო სკოლა ნიშნავს ადგილს, სადაც ბავშვი თავს იგრძნობს უსაფრთხოდ. უსაფრთხოდ თავს მაშინ იგრძნობს, როდესაც კომფორტული გარემო იქნება. თუ ბავშვს რაიმე პრობლემა ექნება, სკოლაში იქნება ადამიანური რესურსი, რომელიც მას ამ პრობლემის გადაჭრაში დაეხმარება. ასეთი ადამიანური რესურსი მცველი ანუ მანდატური არანაირად არ არის. თუ სკოლას სჭირდება მანდატური, როდესაც ბავშვები ჩხუბობენ, რომ გააშველონ, ეს ძალიან კარგია, მაგრამ, ბავშვს თუ პრობლემა აქვს, დახმარებისთვის უნდა მიმართოს ან ფსიქოლოგს ან სოციალურ მუშაკს, — ასეთია თამარ მოსიაშვილის პოზიცია.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების პროგრამების მენეჯერის განცხადებით, არც ერთი სპეციალისტის თვალში უსაფრთხო სკოლა არანაირად არ ასოცირდება მანდატურთან.

თამარ მოსიაშვილს მიაჩნია, რომ სოციალური მუშაკის ფუნქცია უნდა გაიწეროს, თუ როგორ უნდა ითანამშრომლოს მოსწავლეებთან.

— ეს ყველაფერი კონცეპტუალურად უნდა შემუშავდეს, ველოსიპედი ახლიდან არ უნდა გამოვიგონოთ. ეს არის საერთაშორისო გამოცდილება, — აღნიშნა თამარ მოსიაშვილმა.

განათლების სფეროს ექსპერტებმა დიმიტრი შაშკინს იმის გამოც უსაყვედურეს, რომ მინისტრი და სამინისტროს წარმომადგენლები ექსპერტებს აღარ ესაუბრებიან. მათი თქმით, მინისტრი ექსპერტებს „ეგრეთ წოდებულ ექსპერტებს" უწოდებს. ამ ეპითეტის გამო გუშინ ექსპერტებმა არაერთხელ იხუმრეს.

ექსპერტმა გიორგი მაჩაბელმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩაკეტვის პრობლემაზეც ისაუბრა. მისი თქმით, ექსპერტებს აღარ ესაუბრებიან და ეს ბოლო მინისტრის პირობებში განსაკუთრებით იგრძნობა.

— დღეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის გახსნილობის პრობლემაც დგას, — აღნიშნა გიორგი მაჩაბელმა და იქვე დაამატა, რომ სამინისტროსთან კომუნიკაცია გასულ წლებთან შედარებით შაშკინის მინისტრობის პირობებში უფრო გაუარესდა.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელმა თამარ მოსიაშვილმა ერთ-ერთი კვლევა გაიხსენა, რომელიც სკოლებში ჩატარდა. მისი თქმით, 2007 წელს „იუნისეფმა" კვლევა ჩაატარა ძალადობაზე, ამ კვლევების მიხედვით, საქართველოს სკოლებში ძალადობა სხვა ქვეყნების სკოლებზე მაღალი არ იყო და დაბალი იყო. ამ კვლევების დროს ბავშვებს ეკითხებოდნენ, სად გრძნობდნენ უსაფრთხოდ თავს და ბავშვები ამბობდნენ, რომ სკოლის გარეთ საფრთხე მეტი იყო.

თამარ მოსიაშვილი იმაზეც საუბრობს, რომ სკოლა გასხნილი არ არის და იქ მონიტორინგი ან რაიმე კვლევა რომ ჩატარდეს, ამაზე სამინისტროს თანხმობაა საჭირო.

ვინ შეისწავლა მანდატურების საკითხი? ვინ შეისწავლა, წარმატებულია თუ არა სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღება? ეს შეკითხვები ექსპერტებმა დასვეს და პასუხი თავადვე გასცეს: სკოლები ფაქტობრივად დახურულია, ამიტომ იქ შესვლა და კვლევის ჩატარება ამ საკითხზე ფაქტიურად შეუძლებელია.

— ამ მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვისაც დახურულია სკოლები? — იკითხა ქრისტიან-დემოკრატმა ლევან ვეფხვაძემ.

ვიცე-სპიკერს ექსპერტებმა უპასუხეს, რომ სამინისტროს ნებართვის გარეშე სკოლებში ვინმეს შესვლა და რაიმე კვლევის ჩატარება შეუძლებელია.

ექსპერტებმა სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მაგალითებიც მოიყვანეს, სადაც სკოლებში ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები მუშაობენ. განათლების სფეროში მომუშავე ექსპერტები ეთანხმებიან იმ აზრს, რომ სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა საქართველოში კარგი იქნება.

დეპუტატები დაინტერესდნენ იმით, თუ რატომ გაუქმდა სკოლებში ფსიქოლოგის შტატი. ექსპერტებმა განმარტეს, რომ იმ სახით, როგორც ფსიქოლოგები ადრე მუშაობდნენ, უეფექტო იყო და ამიტომ ეს შტატი გაუქმდა. მათივე თქმით, ახლა ამბობენ, რომ 4 სკოლაში ერთი ფსიქოლოგი უნდა იყოს, რაც შედეგს ვერ გამოიღებს.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ექსპერტებმა დეპუტატებს საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს, მე-12 კლასს უკავშირდება. განათლების ექსპერტები მე-12 კლასის არაეფექტურობაზე მიუთითებენ.

ექსპერტების შეფასებით, მე-12 კლასის სტანდარტი არ არსებობს და, ამდენად, გაუგებარია, თუ რა მიზნით ხდება 12-წლიანი სწავლება. ამის მიუხედავად, ექსპერტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ შესაძლოა 12-წლიანი სწავლება ცუდი არ იყოს და მას დადებითი მხარე ჰქონდეს, თუმცა, თუ არ შემუშავდა სწავლების სტანდარტი და არ გაირკვა, რა უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა მე-12 კლასში, მაშინ ეს გადაწყვეტილება აზრს კარგავს.

ექსპერტების მიერ დასმულ პრობლემებზე საუბარს ოპოზიცია განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინთან აპირებს. „ქრისტიან-დემოკრატები" თითქმის ყველა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს შეხვდნენ. ერთი კვირის განმავლობაში ოპოზიციის წევრები სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს უსმენდნენ. სწორედ მათთან შეხვედრის დროს მოსმენილ პრობლემებზე აპირებენ საუბარს უმცირესობის წევრები მინისტრთა კაბინეტის წევრებთან.

# რატომ გაიზარდა შეიარაღებულ ძალებში გასაწვევთა რაოდენობა

**თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა იზრდება. პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 3275 წვევამდელით განისაზღვრება.**

ნანა მიშელაშვილი

თავდაპირველად შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 1286 უნდა ყოფილიყო, თუმცა, ბოლო გადაწყვეტილებით, ეს რაოდენობა 3275 წვევამდელამდე გაიზარდა.

ტის გარე დაცვის სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 600 წვევამდელია, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ გასამხედროებულ დანაყოფებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა კი — 1300 წვევამდელი.

რატომ გაიზარდა შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ-



მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევა 20 იანვარს დაიწყო და 1 ივლისამდე გასტანს.

პრეზიდენტის ბოლო ბრძანებულება უკვე ძალაშია შესული, რაც იმას გულისხმობს, რომ თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გასაწვევი მოქალაქეთა რაოდენობა გაიზრდება.

შეიარაღებული ძალების გარდა, ასევე ცნობილია, თუ რომელი უწყებაში რამდენი წვევამდელი იმსახურებს. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების — სასჯელაღსრულების დეპარტამენ-

თა რაოდენობა? ეს შეკითხვა ოპოზიციის ცალკეულ წარმომადგენლებს მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც ბოლო ბრძანებულების შესახებ შეიტყვეს.

შესაძლოა, ეს კითხვა ოპოზიციამ პარლამენტში მისულ თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას დაუსვას. ბაჩო ახალაია და მთავრობის მთელი შემადგენლობა პარლამენტში მომავალ კვირას მივა. მართალია, თავდაცვის მინისტრის მოსმენა პარლამენტში ე.წ. მინისტრების კვირეულის დროს არ იგეგმება, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ბაჩო ახალაიას მიმართ შეკითხვები რამდენიმე ოპოზიციონერ დეპუტატს მაინც გაუჩნდეს.

## ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია საქართველოს 100-150 მილიონით დააფინანსებს

აშშ-ს პრეზიდენტ ბარაქ ობამას მოთხოვნით ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ბიუჯეტი 2012 წლისთვის მილიარდ 125 მილიონი დოლარია. პირველი ტრანშის წარმატებით განხორციელებისთვის პროექტების დასაფინანსებლად საქართველო და განა შეირჩა.

საქართველოსთვის განკუთვნილი შეთანხმება დაახლოებით 100-150 მილიონის დაფინანსებას ითვალისწინებს.

ორგანიზაციის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მონაცემებით მოსახლეობის 30%-ის შემოსავალი დღეში ორ დოლარზე ნაკლებია, საქართველო საუკეთესო საინვესტიციო კლიმატითაა ცნობილი.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსის ზრდით საქართველო ყველა ქვეყანას უსწრებს. გაუმჯობესდა კორუფციის შემცირების მაჩვენებელიც. აღნიშნული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად დაფიქსირებულია ახალი ბიზნესის რეგისტრაციის 55-თ პროცენტიანი ზრდა.

**პრაიმ-ნიუსი**

## სექტემბერში რუსები როკის გვირაბის დროებით ჩაკეტვას გეგმავენ

როკის გვირაბის ალტერნატიული გზის მშენებლობა სექტემბრის ბოლოსთვის დასრულდება.

როგორც ოსური სააგენტო „ოსინფორმი" იუწყება, მისი დასრულებისთანავე როკის გვირაბი დაიკეტება.

საავტომობილო გზების ჩრდილოეთ კავკასიის სამმართველოს უფროსის გაიოზ მაკიევის ინფორმაციით, სექტემბრიდან როკის გვირაბის სარეკონსტუქციო სამუშაოების დაწყება იგეგმება, ამიტომ მისი დაკეტვა გახდება საჭირო.

გვირაბის დაკეტვის შემდეგ ცხინვალიდან რუსეთის ფედერაციის მიმართულებით მოძრავი ავტომობილები კი, ალტერნატიული გზის მეშვეობით გადაადგილდებიან.

„ოსინფრომის" ცნობით, როკის გვირაბის სრულმასშტაბიანი რეკონსტრუქციის განხორციელება 2012 წელს იგეგმება. გვირაბი 1970 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და ამ დროისთვის ავარიულ მდგომარეობაშია.

სარეკონსტრუქციო სამუშაოებს მთლიანად რუსეთი აფინანსებს.

**მედიანიუსი**

## სოფლის მეურნეობის მინისტრი კახეთში მოსახლეობას ხვდება



სოფლის მეურნეობის მინისტრი კახეთის რეგიონის მოსახლეობას ხვდება. ბაკურ კვეზერელი და კახეთში პრეზიდენტის რწმუნებული გიორგი ღვინიაშვილი ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების რამდენიმე სოფლის ფერმერებთან და გლეხებთან ერთად სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ. შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს და მათი ერთ-ერთი მთავარი თემა სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამაა, — აცნობეს „მედიანიუსს" სამინისტროდან.

პროგრამა გულისხმობს ყველა მსურველის ამერიკული, მაღალმოსავლიანი, სერთიფიცირებული სიმინდის თესლით უზრუნველყოფას. თესლის მიღება გლეხებსა და ფერმერებს საქართველოს მასშტაბით 6 სასაწყობე მეურნეობაში შეუძლიათ (ლაგოდეხი, ბოლნისი, თბილისი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი).

ქუთაისის, სამტრედიის, ბაღდათის, ამბროლაურის, ონის, ყვარელისა და ლაგოდეხის შემდეგ სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი მოსახლეობასთან შეხვედრებს საქართველოს სხვა რეგიონებშიც გეგმავს.

**მედიანიუსი**

## წალენჯიხაში მოსახლეობას ენერგოვაუჩერებთან დაკავშირებით პრობლემა შეექმნა

„ახალი მემარჯვენეების„ წალენჯიხის ორგანიზაციის თავმჯდომარის, წალენჯიხის საკრებულოს წევრის დავით ბელქნიას განცხადებით, წალენჯიხის რაიონში ე.წ. ენერგოვაუჩერებთან დაკავშირებით კვლავ პრობლემებია, — აცნობეს „მედიანიუსს" „ახალი მემარჯვენეებიდან".

ბელქანიას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება დაპირდა მოქალაქეებს, რომ უმოკლეს დროში გამოსწორდებოდა ვაუჩერების დარიგებაში დაშვებული ხარვეზები, დანაპირები არ შესრულდა. ბევრ ოჯახს, რომელთაც ეგონათ, რომ ვაუჩერის ხარჯზე გასული თვის გადასახადიდან 20 ლარს ჩამოაწერდნენ, მოლოდინი არ გაუმართლდა და დენის საფასურის გადაუხდელობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა.

დავით ბელქანიას ინფორმაციით, მოსახლეობა დღემდე უშედეგოდ ცდილობს ამ გაუგებრობაში გარკვევას.

**მედიანიუსი**

## დაანონსებული კატასტროფები დედამიწაზე არ მოხდება

19 მარტისთვის დაანონსებული კატასტროფები და მსოფლიო კატაკლიზმები დედამიწაზე არ მოხდება. ეს განცხადება ასტროლოგმა მიხეილ ცაგარელმა რადიო „პალიტრის" ეთერში, შალვა რამიშვილის საავტორო გადაცემა „ცენტრში" გააკეთა.



— გვაქვს სავსე მთვარის დღეები, არსებობს მოჭარბებული კოსმიური ენერგია, მზე გადადის ვერძის ზოდიაქოში — ესეც ენერგეტიკულად მძიმე პერიოდია, დედამიწა ხან პოზიტიურ, ხან ნეგატიურ ენერგოველშია. მომდევნო დღეებში მთვარე დედამიწას მაქსიმალურად მიუახლოვდება. შესაძლოა პრობლემები შეექმნას ადამიანების ჯანმრთელობას, საქართველოს საზოგადოება ნევროზულ მდგომარეობაშია, სავარაუდოა პოზიცია ოპოზიციას შორის გამწვავდეს ვითარებაც, — განაცხადა ცაგარელმა.

— დედამიწა ახლოს მიდის მთვარესთან. მთვარეს მართავს ოკეანეების გრავიტაცია, რაც ამოატივტივებს წყლის მასას, ამიტომ ცუნამის გამეორება გამორიცხული არ არის. ეს ეხება ოკეანის მოსაზღვრე ქვეყნებს, — აღნიშნა მიხეილ ცაგარელმა შავლა რამიშვილის სტუდიაში.

**ინტერპრესნიუსი**

## ქართული პარტია დევნილებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ითხოვს

„ქართული პარტია" დევნილებისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას ითხოვს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოფიო ხორგუანმა განაცხადა, რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს საკომპენსაციო თანხა ათი ათასი დოლარი ორჯერ ჩაერიცხათ, მაგრამ სახელმწიფომ ეს თანხები ორჯერვე გაურკვეველი მიზეზით ანგარიშიდან მოხსნა.

ქართული პარტია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლებს ვალდებულებების სათანადო შესრულებისაკენ მოუწოდებს.

**პრაიმ-ნიუსი**

# საააკაშვილის შემცვლელს ამერიკა ნაციონალებში ეძებს

### ვინ უნდა დაეხმაროს ოპოზიციას ხელისუფლების შეცვლაში

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან**



***— ქალბატონო ნანა, სახალხო კრებამ უკვე გამოაცხადა მზადყოფნა, რომ ისინი აღდგომის შემდეგ იწყებენ ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ და რომ ამ ქვეყანას რევოლუცია სჭირდება. როგორია თქვენი შეფასებები მათ განცხადებებთან დაკავშირებით?***

— იმაში, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, მგონი, ყველანი თანხმდებიან. მე ვგულისხმობ საზოგადოებას, საზოგადოების უდიდეს ნაწილს და, რა თქმა უნდა, ოპოზიციურ პარტიებს, რომელი გზით არის შესაძლებელი ხელისუფლების შეცვლა, ეს ძალიან რთული საკითხია, იმდენად, რამდენადაც რევოლუციასაც და არჩევნებსაც სჭირდება რეალური ძალის არსებობა. მხოლოდ ოპოზიციაში არსებულ რეალურ ძალას შეუძლია ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც შეცვალოს ხელისუფლება. მე, პირადად, ასეთ ძალას დღეს ოპოზიციაში ვერ ვხედავ, თუნდაც ისეთს, რომელიც შეძლებს, რევოლუციის გზით შეცვალოს ხელისუფლება. ამიტომ ამ ყველაფერს ჯერჯერობით სჭირდება მუშაობა. თავისთავად, გზებზე რომ არ ვილაპარაკოთ, მე მგონია, რომ გზებზე ლაპარაკი ძალიან ნაადრევია, სანამ ასეთი ძალა არ არსებობს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ნაადრევია სახალხო კრების ეს განცხადებები?***

— მე ვფიქრობ, რომ არარეალურია ამ ეტაპზე ასეთი გზით ხელისუფლების შეცვლა. საერთოდ, ხელისუფლების შეცვლა ამ ეტაპზე შეუძლებელია. არჩევნები ჩატარდება თუ რევოლუცია მოხდება, ორივე შემთხვევაში, სამწუხაროდ, მხოლოდ ეს ხელისუფლება იხეირებს. როდესაც ასეთი რეჟიმია ქვეყანაში, იქ წარმოუდგენელია რევოლუციის გამარჯვება. რევოლუცია იმარჯვებს მაშინ, როდესაც რევოლუცია არის მორყეული, ან ხელისუფლება არ არის დიქტატორული. ხომ იცით, რომ ჩვენთან ასე არ არის.

***— ფიქრობთ, რომ საზოგადოება ვერ შეძლებს, სათანადო ძალა აჩვენოს ხელისუფლებას?***

— საზოგადოებაში ეს ძალა არის, ბუნებრივია და საზოგადოებას აქვს ამის სურვილი. უბრალოდ, საზოგადოებას არა ჰყავს ისეთი ადამიანები, რომლებსაც ისინი ენდობიან და წაჰყვებიან ამ ბრძოლაში. აი, ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა — საზოგადოების მხრიდან ოპოზიციის მიმართ არსებობს უნდობლობა და უიმედობა. აქედან გამომდინარე, საზოგადოება არის ინდიფერენტული, იმიტომ კი არა, რომ მას ეს ცვლილებები არ უნდა. საზოგადოების ნაწილს რევოლუციით უნდა ხელისუფლების შეცვლა, ნაწილს — არჩევნებით, მაგრამ შეცვლა უნდა ორივე ნაწილს. თუ დაანახვებ, რომ არის რეალური გზა ან ერთისკენ, ან მეორისკენ, რა თქმა უნდა, საზოგადოება ამას გაიზიარებს, მაგრამ საზოგადოებას ჯერჯერობით თვითონ ამ ოპოზიციის მიმართაც არ გააჩნია ნდობა.

***— გამოკვეთილია ორი ძირითადი ძალა: ბურჯანაძე და ქართული პარტია, რომლებიც რევოლუციის შესახებ ღიად საუბრობენ, თუმცა, ერთმანეთთან დაპირისპირებულები არიან. თქვენი აზრით, უმჯობესი ხომ არ იქნება, რომ ერთიანი ძალებით იმოქმედონ ერთი პოზიციის მქონე პარტიებმა?***

— ვისაც ერთი პოზიცია აქვს, ბუნებრივია, ერთიანი ფრონტით უნდა შეუტიოს, ისევე, როგორც, ვთქვათ, რვა პარტიას აქვს ერთიანი გეგმა, რომ არჩევნების გზით შეცვალონ და არიან ერთად. მე არა ვარ ჩახედული ამ პარტიების შიდა საქმეებში, მაგრამ, თუ ორივე ფიქრობს, რომ მხოლოდდამხოლოდ ეს არის გზა, რომ რევოლუციით უნდა შეიცვალოს და რაღაც ფორმებზეა მხოლოდ დავა და კამათი, რა თქმა უნდა, უნდა გამოინახოს რაღაც საერთო ენა ამასთან დაკავშირებით. კიდევ ვამბობ, რომ ყველაზე სერიოზული პრობლემა დღეს ის კი არ არის, ესენი გაერთიანდებიან თუ არა, მთავარი ძალის არსებობაა. ეს ძალა რომ არსებობდეს, ცალცალკეც შეძლებენ ამის გაკეთებას და მით უმეტეს ერთად ხომ შეძლებენ. ჯერ ეს ძალა არ არის, რეალური ძალა არ არის აქეთკენ, რომელიც ამ ცვლილებებს განახორციელებს.

***— თქვენ ოპოზიციური რვიანი ახსენეთ და მათი პოზიცია ასეთია, რომ დღეს ქვეყანაში არეულობა და საპროტესტო გამოსვლები სააკაშვილის ინტერესებში შედის და მის წისქვილზე დაასხამს წყალს... თქვენ თუ იზიარებთ ამ მოსაზრებას, რამდენად სჭირდება სააკაშვილს ქვეყანაში არეულობა?***

— კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ არჩევნების და რევოლუციის შემთხვევაშიც მხოლოდ სააკაშვილი იხეირებს, ეგ დარჩება მოგებული. დღევანდელი რეალობა სწორედ ასეთია. თუმცა, რა თქმა უნდა, საზოგადოების განწყობაა ისეთი, რომ მას არ მოსწონს ეს ხელისუფლება და მისი შეცვლა სურს. ამ ეტაპზე კი ეს ყველაფერი სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს.

***— რაც შეეხება ოპოზიციურ რვიანს, ამბობენ, რომ მათი მოლაპარაკებებიც უშედეგოა ხელისუფლებასთან და არაფერს დათმობს სააკაშვილი...***

— არჩევნებიც და რევოლუციაც არის იმ რეალობის გაფორმება, რომელიც ისედაც არის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ ვართ ისეთი ქვეყანა, სადაც არჩევნების გზით კი არ მოდის ხელისუფლება სათავეში, არამედ, ძალაუფლება ვისაც აქვს, ის, იქნება ეს რევოლუცია თუ არჩევნები. მაგალითად, სააკაშვილი მოვიდა გადატრიალების გზით. განა გადატრიალების გზა იყო ის გზა, რომლითაც შესაძლებელია ხელისუფლების ცვლილება, არა, უბრალოდ ის იყო რეალური ძალის მატარებელი და იმიტომ მოვიდა გადატრიალების გზით ხელისუფლებაში, თორემ, მას რომ ეს ძალა არ ჰქონოდა, ნამდვილად ვერ მოვიდოდა. მას ჰქონდა დასავლეთის მხარდაჭერა და შეძლო შევარდნაძის დაყოლიება. ამიტომ მოვიდა ხელისუფლებაში. ყოველთვის ჩვენთან, არჩევნების გზაა ეს თუ რევოლუციისა, ხდება იმ რეალობის გაფორმება, რაც არის იმ მომენტისთვის ქვეყანაში. სხვათა შორის, არა მარტო ჩვენთან, ყველგან ასეა. დასავლეთიც მხარს უჭერს არა სამართლიან გზას, როგორც ეს არის მიჩნეული, რომ აი სამართლიანი და სწორია ეს გზა და ამას დაუჭერს მხარს. არა, ისინი მხარს უჭერენ ძლიერს. ვინც არის ძლიერი, იმის მხარეზე დგება დასავლეთი. საზოგადოებაა ძლიერი? საზოგადოების მხარეზე დგება. ხელისუფლებაა ძლიერი? ხელისუფლების მხარეს დგება. თორემ, თქვენ გახსოვთ 5 იანვრის არჩევნები, როდესაც საზოგადოებამ ერთმნიშვნელოვნად მოუგო სააკაშვილს, მაგრამ, დასავლეთმა რომ დაინახა, იმ მომენტისთვის აქ არსებული ხელისუფლება იყო უფრო ძლიერი, დაუჭირა მხარი სააკაშვილს, თუმცა, ზუსტად იცოდა, რომ მას ჰქონდა მიტაცებული ძალაუფლება. აი, არაბულ ქვეყნებში მიმდინარეობს რევოლუციები და მხარდაჭერა აქვს საზოგადოებას. რატომ? იმიტომ რომ, ჩანს, საზოგადოება უფრო ძლიერია და ხელისუფლება ვერ ახერხებს ძალაუფლების შენარჩუნებას. მხარდაჭერა დასავლეთისგან, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს, რომ ხდება არა ობიექტურობისა და სამართლიანობის, არამედ რეალობის მხარდაჭერა. ვინც ძლიერია იმას უჭერენ მხარს.

***— დღეს ამ ძლიერ ძალას ქართულ ოპოზიციაში ვერ ხედავთ?***

— ოპოზიციურ ფლანგზე ეს ძლიერი ძალა არ არსებობს. არის მონოლითური, დიქტატორული, ავტორიტარული სისტემა, რომელიც შექმნა ხელისუფლებამ, რომელიც ყველანაირ დემოკრატიულ ღირებულებას უარყოფს და რომელმაც ყველანაირი დემოკრატიული ინსტიტუტი მოსპო ქვეყანაში. დღეს მას აქვს კორუმპირებული ძალაუფლება და საზოგადოებამ დღემდე ვერ მოახერხა ამ მიტაცებული ძალაუფლების დაბრუნება უკან. როდესაც საზოგადოება შეძლებს ხელისუფლებისგან მიტაცებული ძალაუფლების დაბრუნებას, მაშინ იგი იმ გზითაც შეძლებს გამარჯვებას, რასაც რევოლუცია ჰქვია და იმ გზითაც, რასაც არჩევნები ჰქვია.

***— აქტიურად მიდის საუბარი იმის შესახებ, რომ დღეს ხელისუფლების შიგნით სერიოზული დაპირისპირებაა, რომ მისივე გუნდი არ დატოვებს სააკაშვილს და დღეს ბრძოლა მიდის იმისთვის, თუ ვინ ჩაანაცვლებს მას. რამდენად არის შესაძლებელი, რომ თავისივე გუნდმა მოიცილოს სააკაშვილი იმ პირობით, რომ მის შემცვლელს ამავე გუნდში იპოვიან?***

— აბსოლუტურად რეალურია, დაწყებული იყოს ეს პროცესები, იმიტომ რომ, მას შემდეგ, რაც საქართველომ ომი სამარცხვინოდ წააგო რუსეთთან, ბუნებრივია, ისეთ სუპერსახელმწიფოს, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, არ უნდა სიამოვნებდეს, მისი გავლენის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, იყოს ლიდერი, რომელიც არის რუსეთის მხრიდან თავში ჩარტყმული, წაგებული და დამცირებული. ასეთი ლიდერის ყოლა არ უნდა იყოს ამერიკის ხელისუფლების ინტერესებში. ეს ფაქტია. ყოველთვის, როდესაც გყავს ლიდერი, ჯობია, ის იყოს წარმატებული და მოგებული. ახლა რამდენიც არ უნდა აპიარონ სააკაშვილი, ტრამპს შეახვედრებენ თუ ვინმე სხვას, მთავარი ის არის, რომ მან სამარცხვინოდ წააგო რუსეთთან ომი და ის არის წაგებული ლიდერი. ბუნებრივია, ამერიკას არ უნდა ჰყავდეს ასეთი ლიდერი, მაგრამ ის ოპოზიციაში ალტერნატივას ვერ ხედავს. თუ ხელისუფლების შიგნით იქნებიან ისეთი ძალები, რომლებიც შეძლებენ სააკაშვილის ჩანაცვლებას, ალბათ, დასავლეთი არ იტყვის ასეთ ძალებზე უარს,, თუ ისინი იქნებიან სერიოზულად ძლიერები.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ სიტუაციაში ეს უფრო რეალურია?***

— ბენდუქიძის ფაქტორია ეს ოპოზიციური გაერთიანება, რომელიც შიგნით იქმნება. შიგნით მყოფმა პოლიტიკოსებმა ძალიან კარგად იციან, რომ დღეს ხელისუფლება ვერ შეიცვლება მხოლოდ დასავლეთის მხარდაჭერით. დღეს ხელისუფლება შეიცვლება მაშინ, როცა ორივე ქვეყანა, ორივე სუპერსახელმწიფო შეთანხმდება ამ ცვლილებებზე. თქვენ იცით, რომ ბოკერიასა და მის გუნდს და თავისუფლების ინსტიტუტის ამ გუნდს აქვს ცალსახად პროდასავლური იმიჯი. ისინი თუკი ასეთ ალიანსს ქმნიან ბენდუქიძესთან, ეს არის მესიჯი რუსეთისთვის, რომ ისინი მზად არიან ასეთი სახის თანამშრომლობაზე და ასეთი კანდიდატურის შეთანხმებაზე რუსეთთან, რომ აი ბენდუქიძე გვყავს და, თუ კიდევ რაღაცაა საჭირო, ოღონდაც დაგვიჭირეთ მხარი და ჩვენ მზად ვართ ასეთი ნაბიჯებისთვის. მე მგონია, რომ ეს ასეთი განცხადებაა მათი მხრიდან და სწორედ ამიტომ ჰყავთ ისეთი ფიგურა, რომელიც რუსეთთან არის ასოცირებული. აქეთკენ პროდასავლური იმიჯი და მხარდაჭერა, რომელიც მათ აქვთ და იქითკენ სწორედ ბენდუქიძის სახით პრორუსული მხარდაჭერა. ასე რომ, ოპოზიციაში მყოფმა ძალებმაც უნდა იზრუნონ ამაზე, რათა მათ ჰქონდეთ ორივე სახელმწიფოს მხარდაჭერა. საზოგადოებამ ეს მიტაცებული ძალაუფლება ჯერ ვერ გამოსტაცა ხელისუფლებას. ერთადერთი, შესაძლებელია დღეს ხელისუფლების ცვლილება მხოლოდ ასე — ვინც მოიყვანა ეს ხალხი ხელისუფლების სათავეში, იმათ უნდა წაიყვანონ. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ შეთანხმების გზით. იმ რევოლუციის დროსაც ხომ გამოჩნდა, რომ ეს იყო შეთანხმებული არა მხოლოდ დასავლეთთან, არამედ რუსეთთანაც. ეს კარგად გამოჩნდა იმ მიტინგებზეც, თუნდაც ასლან აბაშიძის გაცილების დროს. ეს იყო ორივე სახელმწიფოს შეთანხმებული ვარიანტი და დღესაც ასეა. ოპოზიციას მხარდაჭერა სჭირდება იმ ძალების მხრიდან, ვინც თავის დროზე სააკაშვილი მოიყვანა ხელისუფლებაში.

***— ე.ი. ოპოზიციას, თქვენი აზრით, სჭირდება ამ დიდი ქვეყნების მხარდაჭერა?***

— რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე აუცილებლად სჭირდება მხარდაჭერა. თუმცა, მხოლოდ მათი მხარდაჭერა არ იქნება საკმარისი, ისინი საზოგადოების ნდობასაც უნდა იმსახურებდნენ. მათ უნდა მოიპოვონ საზოგადოების ნდობა, საზოგადოებას უნდა სჯეროდეს მათი, რომ გაჰყვნენ ამ ბრძოლაში.

# რამდენი ნარკომანია საქართველოში

თეა მარხვაი ე

**ჩვენს ტერიტორიაზე რომ ნარკოტიკები მოძრაობს, ამასთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გაკეთებულა. ჩვენი ხელისუფლება ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფდა, ბოროტი ხმების გავრცელებაში კი, როგორც წესი, რუსეთს ადანაშაულებდა ხოლმე.**

რუსეთს ჩვენთან დაკავშირებით უამრავი ჭორი აქვს მოგონილი და რა გასაკვირია, ასეთი რამეც მოეგონებინა. თუმცა, ისე მოხდა, რომ საქართველო ნარკოტიკების ტრანზიტის მთავარ კორიდორად ამერიკამაც მოიხსენია.

მარტის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ანგარიში. ანგარიშში, რომელიც ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლს ეხება, საქართველო საპატიო ადგილზე იმყოფება.

ანგარიშის მიხედვით საქართველო ნარკოტიკების ტრანზიტის მთავარი კორიდორი გახდა. ამერიკელების განმარტებით, ამის მიზეზი ის არის, რომ საქართველო ევროპასა და აზიას შორის მდებარეობს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ერთ-ერთი მთავარი მარშრუტით ნარკოტიკები საბერძნეთიდან და თურქეთიდან საქართველოს გავლით დასავლეთ ევროპაში ხვდება.

ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ტერიტორიას საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს და შესაძლოა სწორედ ამ ტერიტორიებზე გადის ნარკოტრანზიტის გზა.

— თუმცა, ამ ინფორმაციის შემოწმება შეუძლებელია, რადგან რუსეთის საოკუპაციო ძალები და ამ ტერიტორიების დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლებას არ უცვლიან ინფორმაციას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის შესახებ, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხთან დაკავშირებით მოკრძალებულ კომენტარებს აკეთებს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ლავროვის განცხადება კი არ არის, თავი რომ გაინერვიულონ. ნარკოტიკების თემაზე საქართველოს ხელისუფლება სიამაყით უსვამს ხაზს, რომ ისინი სერიოზულად ებრძვიან ამ სენს.

ხელისუფლებისგან განსხვავებით, ნარკოტიკების თემაზე აქტიურად საუბრობენ ოპოზიციის წარმომადგენლები. „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" მთავარი საბჭოს წევრი თამარ ცინცაბაძე ამბობს, რომ მისი პარტია ამ თემებზე წელიწად-ნახევრის წინ საუბრობდა.

— ნარკოტიკები ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომლის მოუგვარებლობა კატასტროფული შედეგის მომტანი იქნება, რომლის გამოსწორება, რაც დრო გავა, მით უფრო ძნელი გახდება. ამ ფონზე ნარკოტიკებზე კონტროლის სტრატეგია და ანტინარკოტიკული პოლიტიკა, სავარაუდოდ, ხელისუფლებას არც კი გააჩნია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მარტის დასაწყისში მნიშვნელოვანი დოკუმენტები გამოქვეყნდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურების მიერ. წარმოგიდგენთ საქართველოსთვის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს აღნიშნული დოკუმენტიდან.

— საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ხელისუფლების არასწორი ანტინარკოტიკული პოლიტიკის გამო, ხდება ნარკოტიკული საშუალებების გადატანის მთავარი სატრანზიტო დერეფანი, — ამბობს ცინცაბაძე.



ის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ 2009 წელს ევროპაში საქართველოს გავლით შევიდა 7-დან 8 ტონამდე ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის აღმოჩენაც მოხდა არა ქართველი მებაჟეების, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი სამსახურების მიერ.

— როგორც მათ მიერ მომზადებულ დოკუმენტშია მითითებული, ჩვენი ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურები ზოგ შემთხვევაში არ ფლობენ სათანადო ჩვევებს, ზოგ შემთხვევაში არ გააჩნიათ აღჭურვილობა ნარკოტიკული ნივთიერების გამოსავლენად. ირანთან უვიზო რეჟიმის ამოქმედება უუნარო საბაჟო სამსახურის პირობებში კიდევ უფრო ზრდის ჩვენი ქვეყნის ადგილს ნარკოგადაზიდვის გზაზე, — მიიჩნევს ოპოზიციის წარმომადგენელი.

მისი განცხადებით, გაცილებით საგანგაშოა ნარკომანიის თვალსაზრისით არსებული ვითარება. როგორც ირკვევა, არ არსებობს ზუსტი მონაცემები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ნარკომანია საქართველოში.

— საქართველოს შსს-ს მონაცემებით, 2010 წელს აღრიცხულია 133 500 ნარკოტიკის მომხმარებელი. ექსპერტთა აზრით, საქართველოში 200 000 ნარკომანია. თბილისში ჩატარებული კვლევებით მოზარდთა 27%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული რომელიმე ნარკოტიკული საშუალება. 2009 წელს სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში მოხვდა 6336 ნარკოტიკის მომხმარებელი და გამსაღებელი, 2010 წლის ცხრა თვეში — 4070, — ამბობს ცინცაბაძე.

მისი თქმით, საქართველოში ძალიან მძიმე მდგომარეობაა, თუმცა გამოსავალი მაინც არსებებობს. გამოსავალს ცინცაბაძე თავისი პარტიის მიერ წარმოდგენილ ხედვაში აფიქსირებს.

— ჩვენმა პარტიამ წელიწადნახევრის წინ წარმოადგინა თავისი ხედვა ქვეყნის ანტინარკოტიკული პოლიტიკის შესახებ. ჩვენი აზრით, ქვეყანას უნდა ჰქონდეს კომპლექსური და დაბალანსებული ანტინარკოტიკული პოლიტიკა; უნდა მოხდეს ერთიანი უწყებათშორისი მაკოორდინირებელი ორგანოს ფორმირება; კანონმდებლობის შეცვლა, ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაცია; განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პრევენციასა და ინფორმირებას; ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის შემცირების უზრუნველყოფა; მკურნალობის წახალისება და მკურნალობის შემდგომი სარეაბილიტაციო მომსახურების უზრუნველყოფა; კვალიფიციური კადრების მომზადება, — ამბობს ცინცაბაძე.

ის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის რეკომენდაციებზეც ამახვილებს ყურადღებას. ამერიკა გვირჩევს, რომ საჭიროა: ანტინარკოტიკული სტრატეგიის შემუშავება; არსებული კანონმდებლობის შეცვლა პრინციპით — ნარკოტიკის გამსაღებელი უნდა დაისაჯოს, მომხმარებელი წახალისდეს სამკურნალოდ; პრევენციული ღონისძიებების დანერგვა და გაფართოება; სტატისტიკური მონაცემების მოგროვების სრულყოფა, ინფორმირებულობის გაზრდა და მკურნალობაში სოციალური რეაბილიტაციის ჩართვა.

# ვლადიკავკაზში ქართული ტაძრის აღდგენა დაიწყო

## პირველი წირვა 79 წლის შემდეგ

თეა მარხვაი ე

ახლო მომავალში ვლადიკავკაზის ქართული ეკლესია მოქმედი გახდება. მეცხრამეტე საუკუნეში აშენებული წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის აღდგენა უკვე დაწყებულია. ამ დღეებში ეკლესიის ტერიტორიაზე საზეიმო წირვაც აღევლინა. აღსანიშნავია, რომ ბოლოს საღმრთო მსახურება აქ 80 წლის წინ შესრულდა.

ვლადიკავკაზში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია 1898 წელს ამოქმედდა. ამ ეკლესიაში ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ქართველები დადიოდნენ. აქ წირვა-ლოცვა რუსულ და ქართულ ენაზე აღევლინებოდა. აღსანიშნავია, რომ 80 წლის შემდეგაც ქართულად იქნა აღვლენილი წირვა.

ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მდებარე ერთადერთი ქართული ეკლესიის დაკეტვა კომუნისტების დამსახურებაა. მათ სასურველ მიზანს ძნელად მიაღწიეს. პირველად ეკლესიის დახურვა 1928 წელს მოითხოვეს, თუმცა, საზოგადოების წინააღმდეგობის შემდეგ უკან დაიხიეს. 1933 წელს სასურველ მიზანს მაინც მიაღწიეს.

ეკლესია დახურეს, ნაგებობა კი სკოლას გადასცეს. აღსანიშნავია, რომ ეკლესია ქართული სკოლის გვერდით მდებარეობს. ეს სკოლა ვლადიკავკაზში ერთ-ერთი ყველაზე ძველია. მას შემდეგ, რაც ეკლესია სკოლას გადაეცა, ნაგებობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუმცა ამიერიდან ის პირვანდელ სახეს დაიბრუნებს.

წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის აღდგენის შესახებ პირველი განცხადება შარშან მაისში გაკეთდა. ეკლესიის აღდგენის ერთ-ერთი ინიციატორი ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვია, რომელიც ჩვენი ტკბილი ხელისუფლების წყალობით 2008 წელს იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა.

შარშან მაისში მან გა-



ნაცხადა, რომ ქართული ეკლესიის აღსადგენად შეიქმნა ფონდი. ამ ფონდში პირველი შენატანი სწორედ მან შეიტანა. ქართული ეკლესიის აღდგენის ინიციატივა ადგილობრივ ქართულ დიასპორას ძალიან მოეწონა. როგორც ოსური მედია გვპირდება, ქართული ეკლესია ახლო მომავალში მოქმედი გახდება.

საინტერესოა ისიც, რომ სწორედ ამ ეკლესიაში მოინათლა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. ვლადიკავკაზში ჩვენი პატრიარქი ძალიან უყვართ და ეამაყებათ, რომ ის მათ ქალაქში დაიბადა.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, როდიდან გახდება ქართული ეკლესია მოქმედი. მაგრამ მთავარი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. 80 წლის შემდეგ ეკლესიაში ღვთისმსახურება ისევ ჩატარდა, თანაც — ქართულ ენაზე. ეს აქაური ქართული დიასპორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

# ალასანია შსს-ს გაკონტროლებას ითხოვს

**თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა, ირაკლი ალასანიამ, გუშინ სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშს თავისი პარტიის მიერ მომზადებული პროექტი გააცნო. პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი საბჭოსგან მონიტორინგის განხორციელებას ითვალისწინებს.**

ნათია ხურცილავა

საზოგადოებრივი საბჭო საზოგადოების წარმომადგენლებისგან უნდა დაკომპლექტდეს და შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ მდგომარეობაზე კონტროლი განახორციელოს, შემდეგ კი საზოგადოება ჩააყენოს საქმის კურსში.

სახალხო დამცველმა დემოკრატიული მოძრაობის ლიდერს იდეა მოუწონა, მეტიც, როგორც ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი ტუღუშმა განაცხადა, მასაც აქვს მსგავსი იდეა და მიესალმება ალასანიას მიერ შემუშავებულ პროექტს.

თუმცა, რამდენად განხორციელდება ირაკლი ალასანიას იდეა, ჯერ რთული სათქმელია, რადგან საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების ნება, პირველ ყოვლისა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა უნდა გამოხატოს.

ირაკლი ალასანიამ შეხვედრის წინ განცხადება გააკეთა. ის ამბობს, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი ძლიერი უნდა იყოს ქვეყანაში, რათა ამ ინსტიტუტმა ადამიანის უფლებები დაიცვას.

— ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. რამდენიმე წინადადება გვაქვს. ერთ-ერთი ეხება იმ წინადადებას, რასაც „დაცული პოლიციელი, დაცული მოქალაქე" ეწოდება, სადაც საუბარია სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროზე, საზოგადოებრივი-სამოქალაქო კონტროლის ბევრად უფრო ამაღლებაზე, მათ შორის ვხედავთ სახალხო დამცველის ძალიან დიდ როლს. დღეს პირველი შეხვედრა გვქონდა სახალხო დამცველთან და იმედი მაქვს, რომ საზოგადოებრივ საქმეზე ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო გამყარდება. ჩვენ გვინდა, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი ძლიერი იყოს როგორც ქვეყნისთვის, ასევე იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ჩვენს ქვეყანაშია, — განაცხადა თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ალასანიამ განაცხადა, რომ საინტერესო და შინაარსიანი განხილვა ჰქონდათ.

— ჩვენი შეთავაზება გადავეცით სახალხო დამცველს. მისი მხრიდან ინტერესი გამოითქვა სწორედ დეტალებთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, სახალხო დამცველის მხრიდან კიდევ უფრო აქტიურად იქნება დაინტერესება გამომჟღავნებული. აღინიშნა ისიც, რომ სახალხო დამცველს თავადაც აქვს სახალხო კონტროლისა და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმები ჩადებული ეთიკის ქცევის კოდექსში, მაგრამ ეს არ არის ამოქმედებული. ამიტომ საზოგადოების, ჩვენი და სახალხო დამცველის ინტერესები ემთხვევა, — განაცხადა ალასანიამ.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო პენიტენციალურ სისტემაში არსებულ მდგომარეობას.

— ასევე საუბარი გვქონდა სასჯელთაღსრულების სისტემაში შექმნილ სავალალო მდგომარეობაზე. ვისაუბრეთ სახალხო დამცველის ანგარიშზეც, რომელიც მალე წარდგება პარლამენტში. შევთანხმდით ურთიერთობის იმ ფორმაზე, რომელიც საზოგადო საქმესთან დაკავშირებით ჩვენც და სახალხო დამცველის ინსტიტუტსაც ძალიან წაადგება, — განაცხადა ალასანიამ.

გიორგი ტუღუშის განცხადებით, აღნიშნული საბჭოს ჩამოყალიბება, პირველ რიგში, ეთიკის ნორმების დაცვასა და კანონის მოთხოვნების შესაბამისად შესრულებას ეხება.

სახალხო დამცველი საზოგადოებრივი საბჭოს ჩამოყალიბების მომხრეა. ის ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობაში ეს საბჭო მნიშვნელოვან როლს შეიტანს.

საზოგადოებრივი საბჭოს ჩამოყალიბებაში, პროექტის მიხედვით, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სახალხო დამცველმა.

— პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ ინიციატივის სულისკვეთება ზოგადად ჩემთვის ნაცნობია. ეს პროექტი გულისხმობს საზოგადოებრივი საბჭოს შექმნას, რომელმაც პოლიცია და შინაგან საქმეთა სამინისტრო რეალურად უფრო გამჭვირვალე უნდა გახადოს, რათა საზოგადოებას უფრო მეტად მიუწვდებოდეს ხელი ყველა იმ ინფორმაციასა და დეტალზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ეს პროექტი ეხება ეთიკის ნორმების, კანონის მოთხოვნის დაცვას. ზოგადად ინიციატივა ძალიან საინტერესოა. ამ საბჭოს შექმნამ ხელი უნდა შეუწყოს უფრო მეტ გამჭვირვალობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაზე კონტროლი უნდა იყოს საზოგადოებრივი საბჭოს ძირითადი ფუნქცია. იდეა ძალიან საინტერესოა და მე ვიტყოდი, მნიშვნელოვანი და საჭირო, — განაცხადა გიორგი ტუღუშმა.



**გიორგი ტუღუში, სახალხო დამცველი:**

— აუცილებელია მსგავსი საბჭოს არსებობა. თუ რა ფორმით ჩამოყალიბდება ის, უკვე კანონმდებლების გადასაწყვეტია. თუმცა, ეთიკის კოდექსი, რომელიც მინისტრის მიერ არის დამტკიცებული, ითვალისწინებს საზოგადოებრივი საბჭოს არსებობას. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საბჭო, რომელიც შეიქმნება, ეფექტური და ქმედუნარიანი იყოს. ამას გარკვეული სამუშაოების ჩატარება დასჭირდება.

***— რამდენად რეალურია ამ პროექტის განხორციელება, საბჭოს ჩამოყალიბება და შემდეგ მუშაობა?***

— თუ იარსებებს ნება, მე აქ არანაირ პრობლემას არ ვხედავ. მე ვფიქრობ, რომ პირიქით, ეს არის აუცილებელი კომპონენტი, რათა ნდობა გაიზარდოს და პოლიციის საქმიანობა გამჭვირვალე იყოს.

***— ვინ შევა ამ საბჭოში?***

— საზოგადოებრივი საბჭო გულისხმობს საბჭოში საზოგადოების წარმომადგენლების არსებობას. თუმცა, მკაფიო კრიტერიუმები არ არსებობს. საუბარია მოტივირებულ ადამიანებზე, რომლებსაც აინტერესებთ კონკრეტულად ეს საქმიანობა.

***— სამოქალაქო სექტორიდანაც იქნებიან წარმოდგენილნი?***

— დიახ, ასევე შეიძლება იყვნენ საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლები. შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, სტუდენტი, მომღერალი. საუბარია არა იმაზე, რა პროფესიისაა ადამიანი, არამედ საუბარია იმაზე, თუ რამდენად მოტივირებულია, რომ ეს საქმე აკეთოს. შესაბამისი დაინტერესება უნდა იყოს.

# ოშკს ოქსფორდის ექსპედიცია შეისწავლის

ეკა ირემაშვილი

ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული უნიკალური ძეგლების მდგომარეობას ქართველი სპეციალისტების შემდეგ ოქსფორდის უნივერსიტეტის ექსპედიციაც შეისწავლის. როგორც ბრიტანელი მეცნიერები აღნიშნავენ, ოშკი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია და მის გადასარჩენად ყველამ ერთად უნდა იზრუნოს.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების ერთ-ერთი პირველი ფოტომასალაც ბრიტანეთის ხელოვნების უძველეს სკოლაშია დაცული. ოქსფორდის უნივერსიტეტის ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში გასულ წელს უკვე ჩავიდა, თუმცა მათ ოშკის მონასტერი არ შეუსწავლიათ. წინა ექსპედიციის ხელმძღვანელი ელისაბედ ჯეფრი იყო, რომელმაც ახლახან შეიტყო ინფორმაცია ოშკის ნგრევისა და განადგურების საფრთხის შესახებ.

ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ქართველ სპეციალისტებთან ერთად ტაო-კლარჯეთში ორი კვირის წინ იმყოფებოდა. მისი აზრით, უცხოელ მეცნიერთა დაინტერესება ქართული მხარისთვის მეტად მნიშვნელოვანია და ეს ტაძრის გადარჩენის წინაპირობადაც უნდა მივიჩნიოთ. თუკი საქართველოსა და თურქეთს შორის ხელშეკრულება დროულად არ გაფორმდება და ოშკზე სარეაბილიტაციო სამუშაოები სასწრაფოდ არ დაიწყება, ოშკი შესაძლოა მომავალ ზამთარს უკვე ნანგრევებად ქცეული გროვის სახით შეხვდეს. ქართული ძეგლების აღდგენისთვის თურქეთის მხარესთან ძირითადი შეთანხმება უკვე მიღწეულია, მოლაპარაკებები კი, როგორც მხარეები ირწმუნებიან, მალე დასრულდება.

ოშკი ერთადერთი ქართული ძეგლია, რომლის გუბათიც მუზარადის ფორმისაა. უნიკალურ ძეგლს 11 საუკუნეა არავინ შეხებია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ნებართვა არ არსებობს, ქართველი ექსპერტების მიერ უკვე მომზადებულია სარეკონსტრუქციო გეგმა, თუმცა ყველაფერი ქართულ-თურქული მოლაპარაკებების შედეგებზეა დამოკიდებული.

# XXI საუკუნის ეკო-არტ სოფელი თბილისშია

ეკა ირემაშვილი

ევროპის სახლი და არტ ვილა გარიყულა ამერიკელი ლანდშაფტის არქიტექტორის, ხელოვანის, კურატორისა და ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ოსტინის ნოლტონის არქიტექტურის სკოლის ლანდშაფტის არქიტექტურის პროფესორის, სარა ქოულსის პროექტის პრეზენტაციას მართავს.

სარა ქოულსის მოღვაწეობა მრავალმხრივია. მას უმუშავია როგორც საგალერეო პროექტებზე, ასევე ლანდშაფტებისა და საზღვაო ბაზების არქიტექტურაზე. როგორც კურატორი, სარა ქოულსი თანამშრომლობს ხელოვანებთან, რომელთა მოღვაწეობა კულტურულ ლანდშაფტებში მატერიალური, სივრცობრივი და ეკონომიკური ცვლილებების ძიებისკენაა მიმართული. მისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო მიტოვებული ლანდშაფტები, ეკოლოგიური უსამართლობა, მიწის პოსტ-ინდუსტრიული გამოყენება, გეოგრაფიული და საინფორმაციო დიზაინია. იგი ჰარვარდის დიზაინის უმაღლესი სკოლისა და კალიფორნიის ხელოვნების კოლეჯის კურსდამთავრებულია.

„ეკო-არტ სოფელი გარიყულა“ — ასეთია პროექტის სახელწოდება, რომელიც წარმოაჩენს არტ ვილა გარიყულას, როგორც XIX საუკუნის ეკო-არტ სოფლის კონცეფციას. პროექტი ამერიკული ოსტინ ნოლტონის არქიტექტურის სკოლის სტუდენტებმა შეიმუშავეს.ეკო-არტ სოფლის პროექტი მიზნად ისახავს გარიყულასთვის ახალი სიცოცხლის შთაბერვას და მის განვითარებას კულტურული, საგანმანათლებლო, ეკოლოგიური და ეკონომიკური მიმართულებით. არტ ვილა გარიყულას ეკო-არტ სოფლად გადაქცევა ითვალისწინებს, ერთის მხრივ, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის, მეორე მხრივ კი, ხელოვნებისა და რეწვის საწარმოების, სტუმრებისათვის ღამის გასათევი ინფრასტრუქტურის და საგამოფენო სივრცეების შექმნას, ფესტივალებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას.

პროექტის ავტორთა განმარტებით, ეკო-არტ სოფელი სამხრეთ კავკასიაში თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის ერთგვარ „მიზიდულობის ცენტრად“ უნდა იქცეს ადგილად, სადაც თავს მოიყრიან სხვადასხვა ეროვნების ხელოვანები, დიზაინერები, სტუდენტები, პედაგოგები, მეგობრები და ოჯახები ერთად სამუშაოდ, სასწავლად, იდეების გასაზიარებლად და სოფლის ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. ამგვარად, ეკო-არტ სოფელი გარიყულა, როგორც საგანმანათლებლო, კულტურელი, აგრო და ეკო ცენტრი, მოწოდებულია სამომავლოდ მთელი სამხრეთ კავკასიის მდგრადი განვითარების მაგალითი გახდეს.

# სააკაშვილს ატომური სადგურის მშენებლობის მცდელობა ჰქონდა

გულიკო ბალა ე

## ინტერვიუ მწვანეთა პარტიის ლიდერ გიორგი გაჩეჩილაძესთან

***— ბატონო გიორგი, სამწუხაროდ, ჯერ მიწისძვრისა და შემდეგ ატომური სადგურის გამო იაპონია ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას...***

— დიახ, ატომური ელექტროსადგური ფუკუსიმო ერთზე არსებობს დიდი საფრთხე, რომ შეიძლება იქ ჩერნობილზე უარესი ვარიანტი განვითარდეს. ეს უფრო დიდი სადგურია, ვიდრე ჩერნობილი იყო.

***— სხვათა შორის, იაპონიის ატომური სადგურის თაობაზე „ვიკილიქსმა“ ახალი ინფორმაცია გამოაქვეყნა.***

— „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ იაპონიის მთავრობას გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო აფრთხილებდა, თქვენი ატომური ელექტროსადგურები საფრთხის შემცველია, დიდ მიწისძვრას ვერ გაუძლებსო. იაპონიის ატომური ელექტროსადგური დაახლოებით 30%-ით უფრო მძლავრია, ვიდრე ჩერნობილი იყო. ჩერნობილის სადგურზე ოთხი რეაქტორი იყო. ფუკუსიმოს ატომურ ელექტროსადგურზე ექვსი რეაქტორია. ჩერნობილის აფეთქება ერთ რეაქტორზე მოხდა. აქ პრობლემაა ოთხ რეაქტორზე. ღმერთმა დაიფაროს, ის აქტიური ზონა რომ გაიხსნას, რომელშიც რადიოაქტიური ბირთვული მასალებია, კონტინენტური მასშტაბის ეკოლოგიური კატასტროფა იქნება.

***— ჩვენც დაგვემუქრება რაიმე თუ სიშორე გვიშველის?***

— ჩვენ ძალიან შორს ვართ, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ჰაერის ნაკადები და ატმოსფერული ქარები საით იქნება მიმართული. ამის დასტურია ჩერნობილის მაგალითი. ჩერნობილის კატასტროფის დროს (რომელიც მოხდა 1986 წლის 26 აპრილს) წარმოშობილმა ღრუბელმა მოიარა აღმოსავლეთი ევროპა, შევიდა თურქეთში, თურქეთიდან კი დასავლეთ საქართველოში შემოვიდა, ანუ ისეთი ატმოსფერული პროცესები დაემთხვა, რომ, ფაქტობრივად, აქ დაილექა. მაშინ ყველაფერი გასაიდუმლოებული იყო. საბჭოთა კავშირში დაკვირვების სერიოზული ქსელი არსებობდა. საქართველო იყო ცენტრი, სადაც ამის თაობაზე ანალიზი კეთდებოდა. აქ იკრიბებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან მოსული სინჯები. სისტემატური დაკვირვებები მიმდინარეობდა. შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, ხოლო აღნიშნული მასალები გაიხსნა — გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნა, ჩვენ ვნახეთ სასწაული.

***— შეიძლება ვიფიქროთ, რომ იაპონიის მთავრობა ასევე მალავს ინფორმაციას?***

— ამის დამალვა შეუძლებელია. მაშინ საბჭოთა კავშირმა დამალა (არ ვიცი, როგორ აზროვნებდნენ), მაგრამ ევროპამ ატეხა განგაში, რადგან აღმოსავლეთ ევროპაში რადიაციის ფონმა აიწია.

***— მგონი, იაპონიის მთავრობა თავისი მოქალაქების მიმართ მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს და ამას არ დამალავს, განსხვავებით საბჭოთა კავშირის ხელისუფლებისაგან...***

— რა თქმა უნდა, ცივილიზებული ხალხია. მაშინ ჩვენამდე მოღწევას 5-6 დღე მოუნდა. ჩერნობილი საქართველოდან 2200 კილომეტრითაა დაშორებული და აფეთქებიდან 5-6 დღის შემდეგ შემოვიდა საქართველოში. 1-2 მაისს საქართველოში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპირო ზოლში, აფხაზეთსა და აჭარაში 500 ათასჯერ იყო აწეული ატმოსფერში რადიაციული ფონი, ხოლო თბილისში — 400-500-ჯერ. მაღალმთიან რეგიონებშიც ძალიან აიწია რადიაციულმა ფონმა. ამან საქართველოში საშინელი შედეგები გამოიწვია — ონკოლოგიური დაავადებები, ჩიყვის ეპიდემია.

***— მიწისძვრა, რომელმაც საშინელ დღეში ჩააგდო იაპონია (ეს მოწესრიგებული ქვეყანა მიწასთან გაასწორა), ჩვენ თუ გვემუქრება?***

— ახლა ჩვენ მოვითხოვეთ, ეს საკითხი გათვალისწინებულ იქნეს ახალ უსაფრთხოების კონცეფციაში. იქ არის თავი, რომელიც ეხება ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებს, გამოწვევებს. კონცეფციაში ერთ-ერთი პუნქტი ეკოლოგიურ გამოწვევებსაც ეხება. ჩვენ ვითხოვთ, უსაფრთხოების კონცეფციაში ერთ-ერთ პუნქტად ჩაიწეროს ატომური სადგურების მშენებლობის აკრძალვა. იაპონიაში 150 მილიონი კაცი ცხოვრობს. ღმერთმა დაიფაროს, რაიმე რომ მოხდეს, დიდი ნაწილი ცოცხალი გადარჩება. იმგვარი ატომური სადგური საქართველოში რომ იყოს და აფეთქება მოხდეს, ფაქტობრივად, ჩათვალეთ, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაიღუპება, ქართველი, როგორც ასეთი, აღარ დარჩება.

***— ჩვენს მთავრობას ძველი მიწისძვრების შედეგები არ აღმოუფხვრია.***

— რაჭის მიწისძვრის დროს დაზიანდა და დაინგრა 4600 სახლი. საქართველოში რამდენიმე ფაქტორია, რის გამოც არ შეიძლება ამგვარი ობიექტების მშენებლობა და ამიტომ ვითხოვთ ატომური სადგურების მშენებლობის აკრძალვას.

***— რამდენადაც მახსოვს, ატომური ელექტროსადგურის აშენებისთვის სააკაშვილის ხელისუფლება აქტიურობდა.***

— ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში ატომური ელექტროსადგურის აშენება გალის რაიონში უნდოდათ. მაშინ ჩვენმა ინტელიგენციამ, ფიზიკოსებმა, ფიზიკის ინსტიტუტმა, მცხეთის რეაქტორის ხალხმა, რომლებიც ჩახედული არიან რადიაციის საკითხებში, კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწიეს ამას. ამიტომ საბჭოთა კავშირის დროს ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა, ხოლო შემდეგ აღარავის გახსენებია — აზრად არავის მოსვლია ატომური სადგურის აშენება. იმ უბედურებამ, რომელსაც ჰქვია ვარდების რევოლუცია, ეს თემა ისევ წამოწია. სააკაშვილის ხელისუფლებას ამის მცდელობა ორჯერ ჰქონდა. ერთი — 2006 წელს. გერმანიაში ვიზიტით პარლამენტის დელეგაცია ჩავიდა. იქ ინიცირება გაუკეთეს ამ საკითხს — საქართველოს ატომური ელექტროსადგურის აშენება უნდაო. ეს იყო სრული იდიოტიზმი, რადგან მაშინ გერმანიის ხელისუფლებაში უმრავლესობაში მწვანეთა პარტია და სოციალ-დემოკრატები ერთიან ბლოკში იყვნენ. გერმანიაში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა აიკრძალა და მთელი გრაფიკი შეიქმნა არსებული ატომური სადგურების ნელ-ნელა გაჩერებისთვის.

***— ახლაც ანგელა მერკელმა მსგავსი გეგმა წარმოადგინა.***

— ახლა მწვანეთა პარტიამ სხვებთან ერთად უზარმაზარი მიტინგი მოაწყო, 40 კილომეტრიანი ჯაჭვი გააკეთა, რა დროსაც მთელი მოსახლეობა გამოვიდა. ანგელა მერკელი იძულებული გახდა, ატომური სადგურების დიდ ნაწილზე რამდენიმე დღით მორატორიუმი გამოეცხადებინა. ფაქტობრივად, გააჩერეს. ეს არის ნამდვილი ხელისუფლება, რომელიც საზოგადოების აზრს ითვალისწინებს. ატომური სადგურის მშენებლობის მეორე მცდელობა სააკაშვილს 2007 წელს ჰქონდა, როდესაც ივნისში პარიზში ჩაბრძანდა და საფრანგეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები აწარმოა, რომ საქართველოში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა განხორციელებულიყო. მაშინ ჩვენ ამას წინააღმდეგობა გავუწიეთ. იმ დროს საინფორმაციო სივრცე ჯერ კიდევ ისე არ იყო დახურული ჩვენთვის, როგორც ახლა. მაშინ ტელეკომპანია „იმედი“ დამოუკიდებელი გახლდათ. დიდი მადლობა ტელეკომპანია „კავკასიას“, რადგან ამ თემას „ბარიერი“ მიუძღვნეს და ბევრჯერ მომცეს საშუალება პოზიციის დასაფიქსირებლად. ამიტომ პროცესი გაჩერდა. მაშინაც და ახლაც მოვიყვანე უამრავი მასალა, რატომ არ შეიძლება საქართველოში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა.

***— რატომ უნდა სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას მაინცდამაინც ატომური სადგურის მშენებლობა, დიდ ფულთან არის დაკავშირებული და იმიტომ?***

— დიახ. თუ აკვირდებით, სააკაშვილი ყოველთვის ინიცირებას უკეთებს დიდხარჯიან, დიდი ღირებულების პროექტებს.

***— „ვიკილიქსის“ მასალებშიც გაჟონა ინფორმაციამ, ამერიკის ელჩი ამბობს, სააკაშვილი „დიდ საქმეებს“ ეძებსო.***

— იმიტომ, რომ დიდი ფული ტყდება. იდეები, რომლებსაც სააკაშვილი ახმოვანებს, ფანტასტიკის სფეროდანაა. ერთი ასეთი „დიდი საქმე“ იყო, მაგალითად, აჭარაში მთის მოჭრის იდეა...

***— თქვენ ეს რომ გაახმოვანეთ, იცინოდნენ, სისულელე დაგვაბრალესო...***

— რას იცინოდნენ, რა დაგვაბრალესო, თვითონ აჭარიდან მაქვს ინფორმაცია. ეს იდეა სააკაშვილმა ვარშალომიძეს შესთავაზა. ვარშალომიძეს ამის გაგონებაზე გაოცებისაგან ყბა ჩამოვარდნია. ნამდვილ ამბავს გეუბნებით. გაიცინებდნენ, აბა, რას იტყოდნენ. რომ არ გაეცინათ, მაშინ გამოდის, რომ არანორმალურთან გვაქვს საქმე. ასევე იცინოდნენ, სააკაშვილმა კოლხეთის ჭაობის დაშრობის იდეა რომ წამოისროლა. კოლხეთის დაშრობა ჯერ კიდევ ბერიას დროიდან მილიარდები დაჯდა, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან სისტემატურად დიდი თანხები სჭირდება. მაშინ სააკაშვილი ამბობდა, კოლხეთის მიწები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გვინდაო. არსებული მიწების 70% დაუმუშავებელია, ამ დროს სააკაშვილი ამბობდა, კოლხეთის ჭაობები უნდა დავაშროოო. ალბათ, იფიქრა, ამით გარედან დიდ ფულს შემოვიტანო. ერთ-ერთი ასეთი იდეაა ატომური ელექტროსადგურის აშენება, რომელსაც ასეულობით მილიონი სჭირდება. აქედან ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს. ხელისუფლების ფუნქციაა მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ატომური სადგურის მშენებლობა რომელ ფუნქციაში შედის, უსაფრთხოებაში თუ კეთილდღეობაში, თვითონ საზოგადოებამ განსაჯოს. ჩვენ მოვიპოვეთ მასალები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში მომხდარ მძლავრ მიწისძვრებთან. მიწისძვრები საქართველოში სისტემატურად ხდება.



***— ანუ ეს არის მიზეზი, რატომაც არ შეიძლება ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა საქართველოში?***

— საქართველო არის აქტიური სეისმური ზონა. ჩვენ მოვიპოვეთ მასალები 1920 წლის მიწისძვრიდან (გორის დიდი მიწისძვრა რომ იყო) მოყოლებული, იმ მიწისძვრების თაობაზე, რომლის სიმძლავრე აღემატება 5 ბალს. საერთაშორისოდ მიღებული შკალით 5 და მეტბალიანი მიწიძვრები ითვლება მძლავრად. მას შემდეგ 12 მძლავრი მიწისძვრა მოხდა. მათ შორისაა 2011 წელს მომხდარი მიწისძვრა ბაღდადში, 5,7 ბალის სიმძლავრის. ყველაზე საშინელი იყო 1991 წლის რაჭის მიწისძვრა. 6-ბალიანი მიწისძვრა რაჭაში, 2009 წელსაც გამეორდა. 1991 წელს მომხდარ მიწისძვრას კატასტროფული შედეგები მოჰყვა — 7800 კვადრატული კილომეტრის ტერიტორია მოიცვა. საქართველოს მთლიანი ტერიტორია 70 ათასი კვადრატული მეტრია. დაინგრა და დაზიანდა 4600 სახლი და დაიღუპა 100-ზე მეტი ადამიანი. ინფრასტრუქტურის დანგრევაზე აღარ ვლაპარაკობ.

***— რამდენადაც მახსოვს, შემდეგ თქვენ განაცხადეთ, რომ 1991 წლის რაჭის მიწისვრა ხელოვნურად იყო გამოწვეული რუსეთის მიერ.***

— დიახ. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დაშლას ძალიან უცნაურად დაემთხვა ბევრი მიწისძვრა ამ რეგიონში.

***— იაპონიაში მომხდარ მიწისძვრაზეც გამოითქვა ეჭვი რუსეთის მხრიდან ტექტონიკური იარაღის გამოყენების თაობაზე.***

— არა. მიზეზი ზუსტად არის დადგენილი. რაზეც კონტინენტები დგას, მას კონტინენტური ფილები ჰქვია. დედამიწაზე ასეთი არის 8. კონტინენტური ფილების შეხების ადგილას ერთი კონტინენტური ფილის მეორეზე აცურება მოხდა, რამაც გამოიწვია უზარმაზარი მიწისძვრა და ცუნამის უდიდესი ტალღა. თუმცა, ტექტონიკური იარაღი არსებობს, რომელიც არა მარტო საბჭოთა კავშირს ჰქონდა, არამედ აშშ-სა და ბევრს სხვა ქვეყანასაც. აფხაზეთში არსებობს გასაიდუმლოებული სამხედრო ლაბორატორია, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებას საბჭოთა კავშირის დროსაც კი არ უშვებდნენ. ჩვენ მაშინ გამოვაქვეყნეთ მასალები — თურმე საბჭოთა კავშირში სეისმური ბატალიონი არსებობდა, რომელიც პირდაპირ საბჭოთა კავშირის გენერალურ შტაბს ექვემდებარებოდა. ეს ლაბორატორია ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო იმ სისტემაში (სხვა ლაბორატორიებთან ერთად), რომელიც საბჭოთა კავშირის ფარგლებში იყო გადანაწილებული. ძირითადი ლაბორატორია ეშერაში იყო განთავსებული. მისი ძირითადი ფუნქცია დედამიწის ქერქის დაძაბულობაზე დაკვირვება გახლდათ. ამ ლაბორატორიიდან ინფორმაციას აწვდიდნენ იმ პოლიგონებს, საიდანაც შესაძლებელი იყო მიწისძვრის პროვოცირება. მიწისძვრის პროვოცირებას ვერ მოახდენ, თუ ამისთვის ტერიტორია არ არის მომზადებული, ანუ ენერგია არ არის დაგროვილი. მერე მას სჭირდება ბიძგი, მუხტი, რომ შემდეგ საშინელი მიწისძვრა გამოიწვიოს.

***— ტერიტორიის ხელოვნურად მომზადება არ შეიძლება?***

— არა, ვერანაირად ვერ მოამზადებ. თვითონ დედამიწის შიგნით თავისთავად უნდა მოხდეს მომზადება.

***— ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდები რომ ხდება?***

— გამოცდები დიდი ხანია გაჩერებულია.

# ნინო ანანიაშვილმა ორდენი მიიღო

ეკა ირემაშვილი



ქართველმა პრიმა-ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა იტალიის პრეზიდენტ ჯორჯო ნაპოლიტანოსგან იტალიური სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენი მიიღო. ეს ჯილდო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელს იტალიის გაერთიანების 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ გრანდიოზულ გამოფენაზე გადაეცა. ნინო ანანიაშვილი იტალიის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი იტალიის ელჩმა საქართველოში ვიტორიო სანდალიმ დაასაჩუქრა.

გამოფენის ორგანიზატორი იტალიის საელჩო საქართველოში და საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმია. ექსპოზიცია სახელწოდებით „იტალია საქართველოში — ათასწლოვანი დიალოგი“ ევროპის სახლში გაიხსნა, სადაც წარმოდგენილი იყო თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმში დაცული 150 ექსპონატი, რომელიც ასახავს საქართველოსა და იტალიის ურთიერთობას უძველესი დროიდან XIX საუკუნის 80-იან წლებამდე. ექსპოზიცია მოიცავს ქრისტეფორე კასტელის, ჯუზეპე ვერდის, ფედერიკო ფელინის ხელნაწერებს, საოპერო ხელოვნების იტალიელ ოსტატებს, რომლებიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ჩამოვიდნენ.

ცნობილ იტალიელ ხელოვანებთან ერთად, გამოფენაზე მისულ დამთვალიერებელს შეუძლია იხილოს ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის, პეტრე ოცხელისა და სხვა ქართველი მხატვრების ის ნამუშევრები, რომლებიც ამ ორი ქვეყნის მჭიდრო ურთიერთობას ასახავს. გამოფენაზე წარმოდგენილია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაცული მე-19 საუკუნის თეატრის კოსტიუმები, ძირითადად კი იტალიური ოპერებიდან „ოტელო“, „კარმენი“, „რიგოლეტო“, „ტოსკა“. გამოფენილ ნივთთა შორის წარმოდგენილია ისეთი ძვირფასი ექსპონატები, როგორებიცაა პეტრე ოცხელისა და ელენე ახვლედიანის სცენოგრაფიული ნამუშევრები, ფედერიკო ფელინის ხელნაწერი, პარტიტურა ჯუზეპე ვერდის ფაქსიმილიით, XVIII-XIX საუკუნეების ოქრომკედით შესრულებული ძვირფასი კოსტიუმები. ექსპოზიციაზე მრავლად არის იტალიის საოპერო დასის მომღერლების ფოტოები, თბილისის სახაზინო თეატრის აფიშები, პროგრამები, პარტიტურები, ძვირფასი ქვებითა და ლითონებით გაფორმებული კოსტიუმები, დეკორაციის ესკიზები და ქართულ-იტალიური კულტურული ურთიერთობის ამსახველი სხვა უნიკალური ექსპონატები.

**ვიტორიო სანდალი, იტალიის ელჩი საქართველოში:**

— ამ გამოფენით საელჩოს სურს, საზოგადოებას აჩვენოს ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა. ეს ის ცოცხალი და მრავალფორმიანი რეალობაა, რომელიც აახლებს წარსულის ურთიერთობებს და ხელს უწყობს მომავალს, რათა ეს ათასწლოვანი დიალოგი გაგრძელდეს უფრო დიდი ძალითა და ენთუზიაზმით. მართალია, იტალიის გაერთიანება 17 მარტს მოხდა, მაგრამ აღნიშნული ღონისძიების ჩატარება 16 მარტს გადავწყვიტეთ, რადგან ქალბატონი ნინო ტურნეში მიემგზავრება. ეს ორდენი ენიჭება მათ, ვისაც თავიანთ საქმიანობაში ბრწყინვალე შედეგების მიღწევით გადამწყვეტი წვლილი შეაქვთ ხალხებსა და კულტურებს შორის ურთიერთობის გაძლიერებასა და გაღრმავებაში. სწორედ ნინო ანანიაშვილს აქვს დიდი წვლილი შეტანილი ქართულ-იტალიური ურთიერთობაში. ეს მისი დიდი შრომის შედეგია, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით. ეს ორდენი ქართველ ბალერინას იტალიის პრეზიდენტ ჯორჯო ნაპოლიტანოს სახელით გადავეცით, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა საუკუნოვანი იტალიურ-ქართული ურთიერთობისა. ნინო ანანიაშვილი დაჯილდოვდა იმ მსოფლიო დონის ღონისძიებებისთვის, რომელთა ორგანიზატორადაც ის გვევლინებოდა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა უამრავი პრესტიჟული უმაღლესი დონის შეხვედრა ქართველ და იტალიელ მოღვაწეებს შორის. ამჟამად ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები ძალზე გააქტიურებულია როგორც ინსტიტუციურ და ეკონომიკურ, ისე სოციალურ და კულტურულ დონეზე.

**ნინო ანანიაშვილი, ბალერინა:**

— ჩემთვის სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენის მიღება ძალიან დიდი პატივია. მოხარული ვარ, რომ ჩემი შრომა დაფასდა, თუმცა, ეს, პირველ რიგში, ჩემი ქვეყნის დაფასებაა, რადგან ჩემი ცეკვით მე საქართველოს სახელი გამაქვს მსოფლიოში. არა აქვს მნიშვნელობა, სად მოღვაწეობ და სად ცხოვრობ. თუ ხელოვნებას ემსახურები, გაღიარებენ ყველა ქვეყანაში.

**გიორგი კალანდია, კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ხელმძღვანელი:**

— აქ არის უძველესი, უნიკალური და ექსკლუზიური მასალები, რომლებიც ქართულ-იტალიური მეგობრობის ათასწლოვან ისტორიებს ასახავს. სპეციალურად ამ გამოფენისთვის იმდენმა საინტერესო ექსპონატმა მოიყარა თავი, მათი ნახვა დამთვალიერებელს ნამდვილად დიდ სიამოვნებას მიანიჭებს.

— *ქართველი ხელოვანებიდან ვინ შეარჩიეთ?*

— ცნობილ იტალიელ ხელოვანებთან ერთად, იუბილეს ფარგლებში გამოფენილია ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, პეტრე ოცხელის იტალიურ მოტივებზე შექმნილი ნამუშევრებიც. ამ გამოფენაზე ჩვენ წარმოვადგინეთ XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე იმ იტალიელი მომღერლების, მოცეკვავეების, მუსიკოსებისა და ფოტოგრაფების შემოქმედების ამსახველი მასალები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართულ კულტურასა და არქიტექტურაში, საოპერო და საბალეტო ხელოვნებაში, თუმცა, მათი სახელები და ღვაწლი, პრაქტიკულად, უცნობია ფართო საზოგადოებისთვის როგორც იტალიაში, ასევე საქართველოში.

# ცნობილი ეთნოგრაფის არქივი დამუშავებულია

ეკა ირემაშვილი

**ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ცნობილი ეთნოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის ნინო ღოღობერიძის არქივის დამუშავება დაასრულა. ნინო ღოღობერიძე მონაწილეობდა ხევის, ხევსურეთის, ფშავის, თუშეთის, სვანეთის, ქსნის ხეობის, იმერეთის და სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. ამ ექსპედიციებში იგი კრებდა როგორც ზეპირსიტყვიერ, ისე ნივთიერ მასალებს ხალხურ საბავშვო გართობა-თამაშობებისა და სათამაშოების შესახებ.**

ნინო ღოღობერიძე მუშაობდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. მეუღლესთან, გიორგი ლომთათიძესთან, ერთად მუშაობდა აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილთან მისი არქივის მოწესრიგებაზე. ცნობილი ეთნოგრაფი მოღვაწეობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშიც. ნინო ღოღობერიძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხური საბავშვო-თამაშობანი“ და ალბომი „ქართული დედოფალები“. მისმა ნაშრომმა „ხალხური აღზრდის წესები სვანეთში“ დიდი მოწონება დაიმსახურა.

ნინო ღოღობერიძემ აღნიშნული საარქივო მასალა გიორგი ლომთათიძისა და ალექსანდრე ლომთათიძის არქივებთან ერთად, გადასცა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს (ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტი). მისი პირადი არქივი შეიცავს 285 საარქივო ერთეულს. აღწერილობაში მასალა დალაგებულია თემატურად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: შესავალი. ნინო ღოღობერიძე (ბიოგრაფიული ცნობები), ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, სხვადასხვა ხასიათის შრომები და მასალები, თარგმანები, სიტყვები, გამოსვლები და გამოხმაურებები, რეცენზიები და გამოხმაურება ნინო ღოღობერიძის შესახებ, მიმოწერა და სხვადასხვა. ნინო ღოღობერიძის პირადი არქივი დაამუშავა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა თამარ იმნაძემ. აღნიშნული არქივი საინტერესო და მეტად საყურადღებოა ქართული ეთნოგრაფიის მკვლევართათვის.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ~~მეგობართა~~ საზოგადოებამ კი საქართველოს პარლამენტში შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე საზოგადოების წევრობის ფორმები და წევრად მიღების პროცედურები, განხორციელებული და მიმდინარე პროექტები განიხილეს, იმსჯელეს საზოგადოების სამოქმედო გეგმაზეც.

მეგობართა საზოგადოების მიზანია ცენტრის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დაწესებულების მხარდაჭერა და მისი უნიკალური, ეროვნული მნიშვნელობის კოლექციის დაცვისა და კვლევის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. მეგობართა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეა სრულიად საქართველოს კათოლიკოს□პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II, გამგეობის თავმჯდომარე კი საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი.


## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, კიდურების სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. გადასახადის ოდენობა თითოეული პაციენტისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად: ტელ: 899-97-85-46; 53-44-39, რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

**განცხადება**

**ამხანაგობა „მზიური 2003“ გამგეობის სხდომაზე იწვევს სამშენებლო კომპანია ბაგები XXI-ს. სხდომა გაიმართება 2011 წლის 20 მარტს. მისამართი: ნ.რამიშვილის 25. ტელ: 832-22-00-31.**

**ნათელმხილველი**
**მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბიზნესზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ქართველი მორაგბეები რუსეთში გაემგზავრნენ

**დღეს დილით საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რუსეთში გაემგზავრა, სადაც შაბათს, 19 მარტს, ერთა თასის გათამაშებაში რუსეთის ნაკრებს სოჭს ეთამაშება. გუშინ რიჩი დიქსონის შეგირდებმა ბოლო ვარჯიში გამართეს. სანამ „ბორჯღალოსნები“ მოთელვას დაიწყებდნენ, მორაგბეები სპორტისა და ახალგაზრდული საქმეების მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა მოინახულა და მომავალ მატჩში წარმატებები უსურვა.**

**ლადო ვარძელაშვილი:**

— იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ნაკრებმა ერთა თასი მოიგო, რუსეთთან მატჩს სხვა დატვირთვა აქვს. ამასთან, ეს თამაში მათ ქვეყანაში ტარდება და გულშემატკივარი მოუთმენლად ელის. მორაგბეთა ნაკრები ყველაზე გამორჩეულია სათამაშო სახეობებში და მინდა ვთქვა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა არ მოაკლდება. ვულოცავ უკვე მოპოვებულ ერთა თასს და წარმატებას ვუსურვებ მომავალ მატჩში.

**გია ნიჟარაძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

— თამაშის მნიშვნელობაზე ბევრი ლაპარაკი ზედმეტია — ამ მატჩის ფასი ყველამ კარგად იცის. ნაკრები მონდომებით ემზადება და დანარჩენი მოედანზე უნდა გამოჩნდეს. იოლი თამაში არ იქნება. იმედი მაქვს, მატჩის შემდეგ კომენტარს უფრო სიამოვნებით მოგცემთ.

თავის მხრივ გულშემატკივრებს თავდადებულ ბრძოლას დაჰპირდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე, რომელიც გუნდს სავარჯიშო მოედანზე შეუძლვა.

ვარჯიში მოთელვით დაიწყო, შემდეგ დიქსონმა გუნდი უფრო ხელით თამაშში ავარჯიშა, შერკინებიდან და რაქიდან ბურთის სწრაფად გამოტანის და თამაშის მთელ ფლანგზე გაშლის მცდელობა. დერეფნის მოწოდებაც დახვეწეს და ძალისმიერდაც წაივარჯიშეს.

რუსეთში ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:

**ბეკები:** ირაკლი აბუსერიძე, ლაშა მალაღურაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, ბესიკ ხამაშურიძე, თედო ზიბზიბაძე, ლექსო გუგავა, ირაკლი ჩხიკვაძე, ბექა ურჯუკაშვილი

**ფორვარდები:** დავით ხინჩაგიშვილი, დავით ზირაქიშვილი, შალვა სუთიაშვილი, მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე, ირაკლი ნატრიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, ვასილ კაკოვინი, სიმონ მაისურაძე, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ჟღენტი, ვიტო კოლელიშვილი, ვახტანგ მაისურაძე.

რიჩი დიქსონის ფორმაციის ნაკრებში მეორე მატჩს ატარებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გორგოძე. მისი „დებიუტი“ წინა ტურში რუმინეთის ნაკრებთან იყო. წელიწადნახევრის შემდეგ ნაკრებში დაბრუნებული მორაგბის შეხედულება საინტერესო იყო, ამიტომაც რამდენიმე სიტყვით გავესაუბრეთ.

***— ნაკრებს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდით. რა განსხვავებაა ახლანდელ და წინა ნაკრებს შორის?***

— მართალია, ახალი მწვრთნელების ხელმძღვანელობით პირველად ვითამაშე, მაგრამ განსაკუთრებული სიახლეები არ შემიმჩნევია. კარგი ის არის, რომ დაბრუნება მოგებით აღვნიშნე.

***— წინა ტურში რუმინეთის ნაკრებთან კარგად დაიწყეთ და გუნდი საწყის წუთებში სოლიდურად დაწინაურდა. ყველამ იფიქრა, რომ დიდი სხვაობით გაიმარჯვებდით, თუმცა, ასე არ მოხდა და ბოლოში მოგებაც სათუო გახდა.***

— სამწუხაროდ, ასე ხშირად გვემართება. ალბათ, იმის ბრალია, რომ კარგი დასაწყისის შემდეგ იოლ გამარჯვებას ველით და კონცენტრაციას ვკარგავთ. როგორც დავიწყეთ, ისე რომ გაგვეგრძელებინა, დიდი ანგარიშით მოვიგებდით. თუმცა, გარჯა არც მეტოქეს უნდა დავუკარგოთ, რუმინეთს კარგი გუნდი ჰყავს და მათი დამსახურებაც არის თამაშის მიმდინარეობის შეცვლა.

***— რუსეთთან მატჩისთვის რას გვეტყვით? ჩვეულებრივ ემზადებით, თუ ერთა თასის მოპოვების შემდეგ მოშვებულები ხართ?***

— ისე ვემზადებით, როგორც ყოველთვის. ყველამ კარგად ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ და მაქსიმალურად მობილიზებულები ვართ. ის, რომ ერთა თასი უკვე მოგებული გვაქვს, არაფერს ცვლის. რუსეთთან მატჩი ყოველთვის ცალკე თემაა და სხვა მოვლენები ვერ ცვლის.

# ყველაზე მსუქანი ფეხბურთელები

**რუსულმა ინტერნეტ პორტალმა სპორტ.რუმ გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელთა სია, რომელთაც თავიანთი არასაფეხბურთო აღნაგობის მიუხედავად, თამაში არ უჭირდათ. ათეულში მოხვდნენ, როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი ფეხბურთელები. მათ შორის ფიგურირებს ქართველი ზაზა ჯანაშიაც.**

**10. ზაზა ჯანაშია — 178 სმ, 87 კგ.**

90-იანი წლების გამორჩეული ფეხბურთელი რუსეთის ჩემპიონატში. ბრწყინვალედ თამაშობდა მოსკოვის „ლოკომოტივში“. ჯანაშიას მუდმივად ჰქონდა წონის დაკლების პრობლემა. ეს კი ქართული სტუმართმოყვარეობისა და პურმარილის „ბრალია“.

**9. დანი კარვალიუ — 178 სმ, 79 კგ**

2005 წელს ბრწყინავდა უეფას თასის მომგებ მოსკოვის ცსკაში, მაგრამ შემდეგ გასუქდა და ახლა იშვიათად შეჰყავთ შეცვლებზე „ატლეტიკო მინეიროს“ მატჩებისას. არადა, თავის დროზე მასზე მოთხოვნები „რეალსა“ და „ინტერს“ ჰქონდა.

**8. აილტონი — 180სმ, 81 კგ**

ტახივით ფორვარდი 2004 წელს „ვერდერის“ შემადგენლობაში გერმანიის ჩემპიონი, საუკეთესო ბომბარდირი და წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მიუხედავად წონის სიჭარბისა, სწრაფი გარღვევი არ უჭირდა. ერთია, უდისციპლინო იყო. ამჟამად გერმანიის სამოყვარულო ლიაგში ერთობა.

**7. ბრაიან იენსენი — 185, 79**

დანიელმა მეკარემ კარიერის დიდი ნაწილი ინგლისურ „ბარნლიში“ გაატარა. ერთ-ერთ მატჩში მანჩესტერ რაიან გიგზს პენალტიც კი აული, მაგრამ მისი ფიგურა მუდმივად ღიმილს იწვევდა.

**6. ენდი რიდი — 170სმ, 75კგ**

ერთ დროს ირლანდიაში ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა. ღიპის მიუხედავად საკმაოდ სწრაფი იყო და „ტოტენჰემშიც“ უთამაშია.

**5. ადრიანი — 190სმ, 101კგ**

ბრაზილიელი ფეხბურთელი განსაკუთრებით მაშინ გასუქდა, როდესაც მამა გარდაეცვალა და სმას მიჰყო ხელი. ამას მხოლოდ ის მოჰყვა, რომ „ინტერიდან“ სამშობლოში, „ფლამენგოში“ გაანათხოვრეს. თუმცა, იქაც მხოლოდ ღამის კლუბებისა და პლაჟების ხშირი სტუმარი იყო. ბოლო შანსი „რომამ“ მისცა, თუმცა, ლოდინი ჯერჯერობით, ამაოა.

**4. ფერენც პუშკაში — 172 სმ, 90 კგ**

ლეგენდარული უნგრელი წონაში კი იყო, მაგრამ ნამდვილი გოლები მანქანა გახლდათ. მადრიდის „რეალში“ 180 მატჩი ჩაატარა და 155 გოლი გაიტანა.

**3. ნევილ საუთჰოლი — 185სმ, 110 კგ**

როდესაც სიმაღლესა და წონას გადახედავთ, ყველაფერი ნათელია. ამასთან, ქართველ გულშემატკივრებს ეს მაკერე კარგად ახსოვთ, როდესაც ჩვენი ნაკრები უელსელებს ეთამაშა თბილისშიც იმყოფებოდა და საპასუხო მატჩი კარდიფშიც ითამაშა. მაშინ ჩვენმა ფეხბურთელებმა აშკარად დაჩაგრეს უელსელი მეკარე.

**2. რონალდო — 183სმ, 90 კგ**

არც „ფენომენის“ მონაცემების მერე იქნება რამე გასაკვირი. თუმცა, თავის დროზე მილიონობით გულშემატკივრის კერპი იყო და რასაც სჩადიოდა მოედანზე ,უახლეს გულშემატკივრებსაც კარგად ახსოვს.

**1. ეროენ ვერფოვენი — 197სმ, 120 კგ**

აბა, სიმაღლე და წონა ამ ფეხბურტელს რომ აქვს ისე უნდა. თანაც, მოქმედი ფეხბურთელია და როდესაც ამსტერდამის „აიაქსს“ ორივე მეკარე დაუშვადა, თამაშიც კი მოუწია. უნდა ითქვას, რომ ურიგოდ არ გარჯილა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# მურთაზ შელია: „მანჩესტერში ორი ღმერთი ჰყავთ — კანტონა და ქინქლაძე“

**ევროპის ლიგაზე კიევის „დინამოს“ მეტოქედ „მანჩესტერ სიტი“ ერგო და უკრაინელი კოლეგები მურთაზ შელიას შეეხმიანნენ, რომელსაც თავის დროზე ბრიტანულ კლუბში უთამაშია.**



***— ბრიტანეთში სათამაშოდ, თუ არ ვცდებით, ვლადიკავკაზის „ალანიადან“ მოგიწიათ წასვლა.***

— პრინციპში ასე იყო, თუმცა, მანამდე 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, „უემბლის“ სტადიონზე ინგლისის ნაკრებს ვეთამაშეთ და დაინტერესება მაშინ წამოვიდა. მაშინ, მართალია, 0:2 წავაგეთ, მაგრამ დაცვაში კარგად გამოვიყურებოდით. ამის შემდეგ, მალე მოვაწერე ხელი მრავალწლიან კონტრაქტს ხელი „სიტისთან“, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ საქართველოს ნაკრების დაცვაში ჩემი მეწყვილე კახა ცხადაძეც შემომიერთდა.

***— მის მიუხედავად, „სიტიში“ გატარებულ 3 სეზონში მხოლოდ 15 მატჩი ითამაშეთ.***

— თავდაპირველად შეცვლელად ვთამაშობდი, შემდეგ კი ტრავმა მივიღე — ჯვარედინი მყესები გავიწყვიტე. ამით, ჩემი ინგლისური კარიერა დასრულდა. საერთოდ, შემდეგ ჩვეულ დონეზე ველარ ვითამაშე. თუმცა, მანჩესტერზე საუკეთესო მოგონებები მუდამ დამრჩება.

***— ამაში თქვენ მიერ გატანილ 2 გოლს გულისხმობთ?***

— რა თქმა უნდა, ამასაც. ისე მოხდა, რომ თავის გამოჩენა პირველივე მატჩში მომიწია. თამაში ბირმინგემში იყო, მორიგი სტანდარტული მდგომარეობისას მეტოქის საჯარიმოში ჩავედი და კუთხურის შემდეგ თავით გავიტანე. მატჩის 89-ე წუთი, მაგრამ დარჩენილ დროში მოვახერხეთ და ორი გავუშვით, რაც წაგებად დაგვიჯდა. მაშინ მთლიანად გავითავისე, თუ რას წარმოადგენს ინგლისური ფეხბურთი.

***— „მანჩესტერ სიტის“ ისტორიის მანძილზე ყოფილი საბჭოეთიდან მხოლოდ 4 ფეხბურთელს უთამაშია და ყველა მათგანი ქართველი იყავით — თქვენ, ცხადაძე, გიორგი ქინქლაძე და მიხეილ ყაველაშვილი. რით იყო გამოწვეული კლუბის მხრიდან თვენი ქვეყნის ფეხბურთელების დაინტერესება?***

— ეს უსიტყვოდ გიორგი ქინქლაძის დამსახურებაა. ის „სიტიში“ 1996 წელს მივიდა და ჩასვლის დღიდან გულშემატკივრები ჭკუიდან გადაიყვანა. როდესაც მანჩესტერში ჩავედი, მეგონა, ქალაქში 2 ღმერთი იყო — ერიკ კანტონა „მანჩესტერ იუნაიტედიან“ და ქინქლაძე — „მანჩესტერ სიტიდან“.

***— ქინქლაძეს ინგლისში მეტსახელად „ქინქი“ შეარქვეს, რაც ექსცენტრიულს, საოცარს ნიშნავს. შელიას რა შეარქვეს იქაურმა გულშემატკივრებმა?***

— უბრალოდ მურთაზი. ისე დიდხანს ნამდვილად არ მითამაშია, რომ თანაგუნდელებს რაიმე სახელი მოეგონებინათ.

***— ახლა თუ ადევნებთ თვალს ყოფილი გუნდის თამაშებს?***

— რა თქმა უნდა. მეტსაც გეტყვით, ძალიან ვგულშემატკივრობ „ალანიას“ და „სიტის“. მართალია, ბოლო პერიოდში ვლადიკავკაზური გუნდი ისე ვერ ახარებს გულშემატკივრებს, მაგრამ „სიტი“ პრემიერლიგაში ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

# ჩემპიონთა ლიგის ყველა მეოთხედფინალისტი ცნობილია

დამთავრდა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩები და გაირკვა ის 8 გუნდი, რომელიც ბებერი კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოსთვის გააგრძელებს ბრძოლას: „ტოტენჰემი“ (ინგლისი), „მანჩესტერი“ (ინგლისი), „ჩელსი“ (ინგლისი), „ბარსელონა“ (ესპანეთი), „რეალი“ (ესპანეთი), „ინტერი“ (იტალია), „შალკე“ (გერმანია) და „შახტარი“ (უკრაინა).

## რეალი — ლიონი 3:0

1:0 მარსელო (37), 2:0 ბენზემა (66), 3:0 დი მარია (76)

**რეალი:** კასილიასი, რამოსი, კარვალიუ, პეპე, მარსელო, ალონსო, ჰედირა, დი მარია (გრანერო (78), იოზილი, რონალდუ (ადებაიორი 74), ბენზემა (დიარა 84)

**ლიონი:** ლორისი, კრისი, ლოვრენი, კალსტრიომი, ბრიანი (გომისი 46), რევეილერი, სისოკო, ტულანანი, გურკუფი (პიდი 69), დელგადო (პიანიჩი 80), ლისანდრო

ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში აქმდე 3-ჯერ შეხვდნენ და მუდამ ფავორიტად მიჩნეულმა მადრიდელებმა ვერცერთხელ მოახერხეს „ლიონის“ ბარიერის დაძლევა. 6-წლიანი მცდელობის შემდეგ ამ ტანჯვას წერტილი დაესვა — ჟოზე მოურინიოს გუნდმა ამჯერად ულაპარაკოდ დაამარცხა ფრანგული გუნდი.

მართალია, „რეალს“ ნულოვანი ფრეც აწყობდა, მაგრამ მოურინიომ მოედანზე შემტევი შემადგენლობა გამოიყვანა და პირველივე წუთებიდანვე რონალდო და კომპანია მეტოქის კარს ეკვეთა. საწყის 10 წუთში მადრიდელებმა ისეთი შტურმი მოუწყვეს მეტოქეს, რომ გოლები როგორ არ გავიდა, გასაკვირიც კი იყო. თუმცა, განსაკუთრებით კარგად ირჯებოდა „ლიონის“ მეკარე უგო ლორისი, რომელმაც რამდენჯერმე იხსნა თავისიანები.

მოულოდნელად „რეალმა“ შეტევებს უკლო და მეტოქეს თამაშის გათანაბრების შანსი მისცა. შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ „რეალი“ თუ თამაშს არ მოუმატებდა, წარსულს ვერ ასცდებოდა. თუმცა, თანაბარი თამაშის მიუხედავად, „ლიონს“ მხოლოდ ერთხელ მიეცა შანსი და მაშინაც იკერ კასილიასმა იყოჩაღა. ამის მიზეზი კი მადრიდელთა დაცვა იყო, რომელიც მარტო თავისი საქმით არ იყო დაკავებული და შეტევებისთვისაც იცლიდნენ. ეს განსაკუთრებით მარსელოზე ითქმის, რომელიც ხშირად ერთვებოდა შეტევაში, ხოლო სერხიო რამოსი სტანდარტულების დროს ცდილობდა თავისიანების დაწინაურებას.

მათმა ასეთმა მცდელობამ შედეგი 37-ე წუთზე გამოიღო, როდესაც მარსელო კიდევ ერთხელ ჩაერთო შეტევაში, კრიშტიანუ რონალდუდან ეფექტური პასიც მიიღო, თუმცა, თავად არანაკლებ ეფექტურად გაისარჯა — ორი მცველი ლამაზი მოძრაობებით გააბითურა და მეკარეს პირისპირ დარჩენილმა ანგარიში გახსნა — 1:0.

ამ გოლს „ლიონის“ ამოცანა არ შეუცვლია — მათ გოლის გატანა მანამდეც აუცილებლად სჭირდებოდათ. თუმცა, ამის შანსი არც მეორე ტაიმში მისცემიათ. „რეალმა“ კი წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად კარგად გამოიყენა მომენტები.

66-ე წუთზე მარსელომ მეტოქის შეტევის მცდელობა საკუთარ ნახევარზე ალკვეთა, რასაც მესუტ ოზილის მისამართით გრძელი პასი მიაყოლა, გერმანელმა ფეხბურთელმა ფეხის წვერით ქარიმ ბენზემა მეკარეს პირისპირ შეჰყარა და მასაც ყოფილი თანაგუნდელის დამწუხრება არ გასჭირვებია.

ამ გოლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ „რეალი“ „ლიონის“ ბარიერს საბოლოოდ დასძლევდა, თუმცა, მესამე გოლი მაინც გაიტანა. თავი ამჯერად ანხელ დი მარიამ გამოიჩინა, რომელიც პირისპირ დარჩა მეკარესთან და ოსტატური დარტყმით ბურთი თავზე გადაუგდო.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** მარსელო

ბრაზილიელ ფეხბურთელთან ერთად ალბათ ქარიმ ბეზემაც შეგვეძლო გამოგვეყო, თუმცა, მარსელო გაცილებით აქტიური და ნაყოფიერი იყო. მატჩში ყველაფერი მისი დიდებული გოლით დაიწყო და თავადვე შექმნა მეორეც. საერთოდ, მისი ფლანგი უფრო აქტიურად გამოიყურებოდა, ვიდრე სერხიო რამოსის.

## ჩელსი — კოპენჰაგენი 0:0

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, კოული, რამირესი, ტერი, მიკელი (ესიენი 84), ბოსინგვა, ჟირკოვი (მალუდა 75), ლამპარდი, დროგბა, ანელკა (ტორესი 68)

**კოპენჰაგენი:** ვილანდი, ბენგსტონი (ზოჰორე 61), კლაუდემირი, კვისტი, გრონკიაერი, ნდოიე, ანტონსონი, ვენდტი, ვინგაარდი (სანტინი 74), ზანკა, ბოლანოში (კრისტენსენი 90)

ლონდონელებს საქმე პირველივე მატჩში ჰქონდათ მოთავებული, მაგრამ გამარჯვების მოპოვება ამ მატჩშიც ძალიან სურდათ და მეტოქის კართან არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, თუმცა, ბოლო მომენტში ზუსტ თამაშს ვერ ახერხებდნენ.

დასაკარგი არც დანიელებს ჰქონდათ არაფერი და ისინიც ლაღად თამაშობდნენ. რამდენიმე მომენტი ჩეხის კართანაც შეიქმნა, რამაც თავისებური ეშხი შემატა თამაშს.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** იოან ვილანდი

მატჩის ბოლოს ლონდონელებს გოლიც რომ გაეტანა, საუკეთესოდ მაინც ვილანდს ავირჩევდით, რადგან მთელი მატჩის განმავლობაში დამაჯერებლად თამაშობდა. იმის გარდა, რომ „ჩელსის“ უიღბლობაც დამნაშავეა, რომ დანიელთა კარში გოლი არ გავიდა, თავისი ღვაწლი არც ვილანდს უნდა დავუკარგოთ.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩი**

არგენტინა-ვენესუელა ... 4:1

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

რეალი-ლიონი ... 3:0
ჩელსი-კოპენჰაგენი ... 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი-ფართსი ... 2:0

**შოტლანდია. თასი**

აბერდინი-სტ.მირენი ... 2:1
ინვერნესი-სელტიკი ... 1:2

**ბელგია. თასი**

ვესტერლო-სერკლი ... 0:0
გენტი-სტანდარდი ... 1:0

**საბერძნეთი. თასი**

ოლიმპიაკოსი(ვ)-ატრომიტოსი ... 0:0
პაოკი-აეკი ... 0:1

**პოლონეთი. თასი**

იაგელოანია-ლეჩნა ... 1:1
პოდბესკიდჟე-ვისლა ... 2:2

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ატლანტა-დენვერი ... 87:102
ზაზა ფაჩულია: 19 ქულა, 10 მოხსნა
ბოსტონი-ინდიანა ... 92:80
დეტროიტი-ტორონტო ... 107:93
მაიამი-ოკლაჰომა ... 85:96
მილუოკი-ორლანდო ... 89:93(ოტ)
ნიუ ორლეანი-ფინიქსი ... 100:95
ჰიუსტონი-შარლოტი ... 94:78
იუტა-მინესოტა ... 119:104
საკრამენტო-კლივლენდი ... 93:97
გოლდენ სტეიტი-დალასი ... 106:112
კლიპერსი-ფილადელფია ... 94:104

## ჩოგბურთი

**ატპ. ინდიანა უელსი. ჰარდი**

დელ პოტრო-კოლშრაიბერი ... 7:6;7:6
კიურეი-რობრედო ... 1:6;3:6
ბერდიხი-ვავრინკა ... 6:3;4:6;4:6
ჯოკოვიჩი-ტროიცკი ... 6:0;6:1
კარლოვიჩი-მონტანესი ... 7:6;6:2
როდიკი-გასკე ... 3:6;6:7
ნადალი-დევ ვარმანი ... 7:5;6:4
ფედერერი-ჰარისონი ... 7:6;6:3

**ვტა. ინდიანა უელსი. ჰარდი**

ივანოვიჩი-ბარტოლი ... 4:6;6:7
პირი-ვიკმაიერი ... 3:6;3:6

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

დალასი-სან ხოსე ... 3:6
კალგარი-ფინიქსი ... 3:4
კაროლინა-ტორონტო ... 1:3
დეტროიტი-ვაშინგტონი ... 3:2
ანაჰაიმი-სენტ ლუისი ... 2:1
ვანკუვერი-კოლორადო ... 4:2

# დავით მაღრაძე ნობელისთვის იბრძოლებს

ეკა ირემაშვილი




ქართველი პოეტი დავით მაღრაძე შვედეთის აკადემიამ ლიტერატურაში ნობელის პრემიის ნომინანტად უკვე აღიარა. ქართველი პოეტი ამ მეტად პრესტიჟულ პრემიაზე სამმა ინსტიტუციამ წარადგინა. ნობელის კომიტეტს საქართველოდან რეკომენდაციით ჭაბუა ამირეჯიბმაც მიმართა.

როგორც მასმედიისთვის გახდა ცნობილი, დავით მაღრაძემ ოფიციალური წერილობითი შეტყობინება ამ ფაქტთან დაკავშირებით უკვე მიიღო, რომელშიც ნათქვამია: „შვედეთის აკადემიას აქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ თქვენი ნომინაცია აღიარებულია მიმდინარე წლის ნობელის პრემიის მოსაპოვებლად“. ქართველი პოეტი რომის პაპის ორდენითაც დაჯილდოვდა.

დავით მაღრაძეს ნობელის პრემიის მინიჭებამდე მისმა მეგობრებმა რუსთაველის თეატრში შემოქმედებითი საღამო მოუწყვეს, რომელსაც მისი, ახლობლები, კულტურის სფეროს წარმომადგენლები და პოლიტიკოსები ესწრებოდნენ. პოეტის მეგობრების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას საქართველოში იტალიის ელჩი ვიტორიო სანდალიც დაესწრო.

რუსთაველის თეატრში შეკრებილი მსმენელისთვის დავით მაღრაძემ ძველი და ახალი კრებულებიდან ლექსები წაიკითხა, მომღერალმა ნატო მეტონიძემ კი ქართული სიმღერები შეასრულა.

# „რუსთავის“ სოლისტი შემოქმედებით საღამოს გამართავს

ეკა ირემაშვილი

ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი, დავით გველესიანი, 18 მარტს მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე შემოქმედებით საღამოს გამართავს. მომღერალმა მეგობრებთან ერთად უკვე გაიარა აქტიური რეპეტიციები და ახლა მსმენელთან შესახვედრად ემზადება.

დავით გველესიანი ანსამბლ „რუსთავში“ უკვე 25 წელია მოღვაწეობს. მარჯანიშვილის თეატრში ჩატარებული კონცერტი ერთგვარი ანგარიში იქნება. მეგობრებთან ერთად მომღერალი შეასრულებს როგორც ქართულ ხალხურ სიმღერებს, ასევე რომანსებსა და ქართველ კომპოზიტორთა სიმღერებს. კონცერტზევე იგეგმება ნეოპოლოტანური არიის შესრულებაც. დავით გველესიანის შემოქმედებით საღამოზე დაუკრავს სიმებიანი კვარტეტი და სრულიად ახლებურად აჟღერდება ბიძინა კვერნაძის „შემოდგომის ყვავილებს“. რიგით მეორე შემოქმედებით საღამოზე დავით გველესიანი რამდენიმე პრემიერასაც გეგმავს.

დავით გველესიანმა მთელი ცხოვრება სიმღერას მიუძღვნა. თბილისის კონსერვატორიაში სწავლის პარალელურად, მომღერალი ჩაირიცხა იტალიის ქალაქ ოზომოს საოპერო აკადემიაში. საბოლოოდ ის საქართველოში დაბრუნდა და თბილისისა და ბათუმის ოპერებში მოღვაწეობდა. უკვე მეოთხედი საუკუნეა, დავით გველესიანი ანსამბლ „რუსთავში“ მღერის და ქართული ხალხური სიმღერა მთელ მსოფლიოში გააქვს.

მარჯანიშვილის თეატრში დაგეგმილ კონცერტში მასთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ მისი მეგობრები — კომპოზიტორი ჯუმბერ ამანათაშვილი, მომღერლები ეკა მამალაძე, თამრიკო ჭოხონელიძე, ეკა კვალიაშვილი და ანსამბლ „რუსთავის“ წევრები. კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონცერტზე მომღერალი შვიდწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ შეხვდება თავის მსმენელს, ორსაათიანი კონცერტი კი ცოცხალი შესრულებით წარიმართება.

# ისიდორე ვარაზაშვილის პირადი ფონდი გახსნილია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცულია მარგანეცის მრეწველის, საზოგადო მოღვაწის, საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული ისიდორე ვარაზაშვილის პირადი ფონდი. მასალების მიმოხილვა ეროვნული არქივის ფონდების ყოველკვირეული მიმოხილვის ფარგლებში ქვეყნდება.

ისიდორე ვარაზაშვილის პირადი ფონდი საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივს მისი ოჯახის წევრებმა გასული საუკუნის 60-იან წლებში გადასცეს. ფონდში დაცულია ვარაზაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები და ფოტოსურათები.

ისიდორე ვარაზაშვილი პროფესიით რკინიგზის ინჟინერი იყო. იგი ოჯახის წევრებთან და სხვა მრეწველებთან ერთად დაარსებული ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა სააქციო საზოგადოების „ჩემოს“ წევრი იყო. მის პირად ფონდშია მდიდარი მასალა ამ სააქციო საზოგადოების დაფუძნებისა და მუშაობის შესახებ, მათ შორის, უცხოელ ინვესტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ისიდორე ვარაზაშვილი ჩრდილო ამერიკის ახლო აღმოსავლეთის დამხმარე კომიტეტის რწმუნებულად მუშაობდა. ფონდში არსებული მასალები, რომლებიც ამ თემას ეხება, ცხადყოფს, რომ საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგაც, პირველ წლებში, ამერიკის დამხმარე კომიტეტი საქართველოში არაერთ სოციალურ პროექტს ახორციელებდა. იგი მოგვიანებით საპატიო ამხანაგობა „ქართულ წიგნში“ დირექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობდა. სწორედ ამ ამხანაგობის თაოსნობით გამოიცა ქართველი და უცხოელი მწერლების მხატვრული ლიტერატურა, მათ შორის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული.

მარგანეცის მრეწველი აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში — იყო ჭიათურის ქართული დრამატული საზოგადოების წევრი, სამეცნიერო და ლიტერატურული საზოგადოების გამგეობის საპატიო თავმჯდომარე, ქართველ მხატვართა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე. ჰამბურგში მან დააარსა რუსთაველის საზოგადოება, რომლის წევრიც თავად იყო. მისი დახმარებით არაერთი ქართველი ახალგაზრდა გაემგზავრა საზღვარგარეთ სასწავლებლად.

ისიდორე ვარაზაშვილის პირად ფონდშია მიმოწერა მასსა და მის მეუღლე ვერა წერეთელს შორის, სტატიები „ჩვენი სახალხო თეატრის მნიშვნელობა წარსულში და მომავალში“. აქვეა გამოუქვეყნებელი ნაშრომი, „კაცობრიობის მიზანი“, რომელიც ხელნაწერის სახით არის შემორჩენილი და კაპიტალიზმის ეკონომიკურ სიკეთეს შეეხება. ისიდორე ვარაზაშვილი დააპატიმრეს და ვერხნეურალსკის პოლიტიზოლატორში გადაასახლეს. იგი 1945 წლის აპრილში გარდაიცვალა. მამის ბედი მისმა ვაჟმა სოფრომმაც გაიზიარა, რომელიც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ინჟინრად მუშაობდა და 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. ისიდორე ვარაზაშვილის პირად არქივში დაცულია ცნობა 1960-იან წლებში მისი რეაბილიტაციის შესახებ.

ისიდორე ვარაზაშვილის პირადი ფონდის გამოქვეყნებასთან ერთად, ეროვნულმა არქივმა არსებულ ვაკანსიებზე კონკურსი გამოცხადდა. კონკურსი ცხადდება სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკის უფროსის, აღმოსავლეთის (ლილოს) რეგიონული არქივის დირექტორის, სამეურნეო სამსახურის უფროსის მოადგილისა და ქუთაისის ცენტრალური არქივის რეგიონული განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობებზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა სააპლიკაციო ფორმა 31 მარტის ჩათვლით ეროვნულ არქივში უნდა გააგზავნონ.

# მოსკოვი ერგნეთში ნატოს კუთხის გახსნას აპროტესტებს

მოსკოვი სოფელ ერგნეთის სკოლაში ნატოს საინფორმაციო ცენტრის მიერ ნატოს კუთხის გახსნას აპროტესტებს, - ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული.

ლავროვის უწყება აღნიშნავს, რომ ნატოს საინფორმაციო ცენტრი საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი და დაფინანსებული სტრუქტურაა. „ის ქართულ საზოგადოებაში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესვლის „მიზანშეწონილობის“ იდეის პროპაგანდას ეწევა. არ შეიძლება, ყურადღება არ მიექცეს იმას, რომ ერგნეთის არჩევა შემთხვევითი ნამდვილად არ ყოფილა. სწორედ აქ ტარდება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრები, რომლებშიც რუსი სამხედროები და ევროკავშირის დამკვირვებლებიც მონაწილეობენ“, - ნათქვამია განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ ქართული მხარის ჩანაფიქრი ნათელია და ეს ჩანაფიქრო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის მოგვარებაში ამა თუ იმ სახით ნატოს ჩართვაა.

— ამასთან, რატომღაც ავიწყდებათ მეზობელი სახელმწიფოების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აზრის კითხვა. გაუგებრობას იწვევს გახსნის ცერემონიაზე ნატოს საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელის, თენგიზ გოგოტიშვილის ექსტრავაგანტული გამონათქვამი, რომ ერგნეთი, ისევე, როგორც საქართველოს ყველა სოფელი, ნატოს ზონაა, — აცხადებს ლავროვის უწყება.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ცერემონიას ნატოსა და საქართველოს შორის საკონტაქტო დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ლიტვის ელჩი პასლაუსკასიც ესწრებოდა. ამის გათვალისწინებით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კითხვით მიმართავს ბრიუსელს საქართველოში ნატოს რა ზონებზეა საუბარი.

**ინტერპრესნიუსი**

# ქართული პარტია ჭიათურის რაიონულ ორგანიზაციას აფუძნებს

ჭიათურის კულტურის ცენტრში დღეს, ქართული პარტიის ჭიათურის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდება.

ღონისძიებას ქართული პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბარი, თანათავმჯდომარე ლევან გაჩეჩილაძე, გენერალური მდივანი კოკა გუნცაძე, პოლიტიკური მდივანი ეროსი კიწმარიშვილი და პოლიტიკური საბჭოს წევრი სოფიო ხორგუანი დაესწრებიან.

ლიდერები კონფერენციის მონაწილეებს პარტიის სამოქმედო პროგრამის ძირითად მიმართულებებს გააცნობენ და სამომავლო გეგმებზე ისაუბრებენ. კონფერენციის დელეგატები ქართული პარტიის ჭიათურის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს აირჩევენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ზოოპარკში შემეცნებითი პროექტები ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

თბილისის ზოოპარკში ყოველ შაბათ-კვირას გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები ჩატარდება, რომელსაც კომპანია „მულტი-პულტი“ მოაწყობს. სწორედ ამ კომპანიამ მოიგო შპს „ზოოლოგიური პარკის“ მიერ გამოქვეყნებული ტენდერი, რომელიც გულისხმობს ზოოპარკის ტერიტორიაზე 25 გასართობ-შემეცნებითი ღონისძიების ჩატარებას.

„მულტი-პულტის“ გმირები ყოველ შაბათ-კვირას ზოოპარკში მისულ პატარებს ჯამბაზების — კიკისა და ვიკის შოუ-პროგრამას შეთავაზებენ. კომპანიაში აცხადებენ:

— ყოველ ღონისძიებაზე ბავშვებს სხვადასხვა პერსონაჟები ესტუმრებიან და მრავალ შემეცნებით-გასართობ თამაშს შესთავაზებენ. ყველა პროგრამა თემატური იქნება და ბავშვებს საშუალება ექნებათ, საყვარელი ცხოველების შესახებ უამრავი ინფორმაცია მიიღონ, კიკი და ვიკი კი მოახერხებენ, ამას გაკვეთილის სახე არ მიეცეს და ბავშვებმა თამაშებისა და ცეკვა-სიმღერების დახმარებით სამყაროს უცხო ნაწილი — ფაუნა — უფრო ახლოს შეიცნონ.

თბილისის ზოოპარკის სტუმრებთან ამ პროექტის ფარგლებში უკვე იმყოფებოდა მულტფილმ „მადაგასკარის“ პერსონაჟი, ზებრა დელპიერო. ჯამბაზებთან ერთად პირველი შეხვედრის თემა ზებრები და მათთან დაკავშირებული საკითხები იყო. ინფორმაციის მიღების შემდეგ პატარები ჯამბაზებმა და ანიმაციის გმირებმა სხვადასხვა თამაშით, ფოკუსებითა და ცეკვებით გაახალისეს.

## გიყვართ თუ არა სიცილი?




1. თუ ახერხებთ უსიამოვნო სიტუაციებიდან იუმორით თავის დაძვრენას?
2. თუ ეთანხმებით აზრს, რომ ქორწინება ყველაზე სასაცილო რამაა ქვეყანაზე?
3. თუ იცინით, როდესაც მარტო ხართ, წიგნს კითხულობთ ან ტელევიზორს უყურებთ?
4. თუ შეამჩნიეთ, რომ გატყუებენ, შეგიძლიათ თუ არა, არ შეიმჩნიოთ?
5. თუ ყვებიან თქვენი მეგობრები და ახლობლები მხიარულ ისტორიებს და ანეკდოტებს?
6. სუფრაზე ან მეგობრების წრეში ყოფნის დროს თუ გსურთ ყოველთვის ენამახვილი ჩანდეთ?
7. ყველა ჟანრიდან ყველაზე მეტად კომედია თუ მოგწონთ?
8. თუ მიგაჩნიათ, რომ იუმორის გრძნობა გაქვთ?
9. როდესაც ცუდ ხასიათზე ხართ, გაღიზიანებთ თუ არა სხვების სიცილი?

**პასუხები** **დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-5 ქულა:** სიცილი და ღიმილი საკმაოდ გიჭირთ. გახსოვდეთ, რომ ეს არა მარტო სასიამოვნო, არამედ სასარგებლოცაა. იუმორით ადვილია პრობლემების გადალახვა, შეეცადეთ საკუთარი თავის გარდაქმნას და ყველაფერს სერიოზულად ნუ აღიქვამთ.

**6-9 ქულა:** იუმორის გრძნობის თვალსაზრისით, ყველაფერი რიგზე გაქვთ და ეს ცხოვრების ურთულეს პერიოდებშიც კი გეხმარებათ.

**გ. თ.**

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. ჯაზის იმპროვიზებული სტილი; 2. ოსური ცეკვა; 3. სუსტი არაყი; 5. აზერბაიჯანული ხალხური სასიმღერო ჟანრი; 6. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 7. ლეო დელიბის ბალეტი; 11. ბელორუსის დედაქალაქი; 13. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი; 14. ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის აბორიგენი მოსახლეობის წარმომადგენელი; 15. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. სპორტსმენთათვის აკრძალული აღმგზნები პრეპარატი; 17. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი ან კონიაკი; 19. დიპლომატიური წარმომადგენელი; 20. ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

**თარაზულად:** 1. ზოდიაქოს ნიშანი; 4. ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული მასა; 8. წყალგამყოფ მთებს შორის ტერიტორია, სადაც მდინარე მიედინება; 9. ზღვის დიდი ტალღის ძველი ქართული სახელწოდება; 10. დიდი წვეულება; 12. კუთხე საქართველოში; 14. არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 15. ლამაზად, მოხდენილად ჩამცმელი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ფრანგი მოდელიორი; 18. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 21. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 22. ძვირფასი ბეწვით გაწყობილი ქალის კაბის საყელო; 23. პირველი ამერიკელი ასტრონავტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჟოქო; 2. აბული; 3. ფხოვი; 5. ლოგიკა; 6. სქოლიოზი; 9. აბასთუმანი; 10. ვაშლოვანი; 11. პოლიფონია; 14. „გზა“; 16. ჩიტაია; 18. პაბი.

**თარაზულად:** 1. ჟაკარი; 4. ვილნიუსი; 7. „სულიკო“; 8. ვაქცინა; 12. ჰალვა; 13. აგენტი; 15. „ოლიმპი“; 17. ომი; 19. „პანჩატანტრა“; 20. სიმდი; 21. ბილონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყვანჯი; 2. ზვავი; 3. მუზა; 5. შუქურა; 6. ბზიფი; 7. მანიანი; 11. ხედრო; 13. ალაზანი; 14. არმია; 15. სლალომი; 16. სინდიყი; 17. „ბუკერი“; 19. ეპოქა; 20. დუყი.

**თარაზულად:** 1. ყაზარმა; 4. გეიშა; 8. ზვარი; 9. ქუჯი; 10. ნავახა; 12. ლინდერი; 14. „აიდა“; 15. სინეკურა; 16. სამბო; 18. კოლიე; 21. კასიო; 22. ყარყუმი; 23. ქარაგმა.

# „ბობ მარლი — ლეგენდის შექმნა“

**დიდ ბრიტანეთში ახლო მომავალში ეკრანებზე გამოვა ფილმი, რომელიც ცნობილი იამაიკელი მუსიკოსის, რეგის ოსტატის, ბობ მარლისა და მისი ჯგუფის, „უოლერსის“ შემოქმედებით გზას ე ღვნება.**

ფილმი 1970-იან წლებში ბობ მარლის ნაცნობის, მარი ესთერ ანდერსონის მიერ გადაღებული სამოყვარულო ფილმების მიხედვით არის შექმნილი. ეს ფირები დაიკარგა და მათი პოვნა მხოლოდ 30 წლის შემდეგ მოხერხდა.

ანდერსონი ბობ მარლის პირველად 1972 წელს გამართული წვეულების დროს მოხდა. წვეულების ორგანიზატორი იყო ხმის ჩამწერი სტუდია „აილენდ რექორდსი“.

როგორც ანდერსონი იხსენებს, იგი რაღაცით ჯიმი ჰენდრიქსს მიამსგავსა.

ბობ მარლი წვეულებაზე კრის ბლექველმა მიიწვია, რომელმაც მანამდე „უოლერსისა“ და „აილენდ რეკორდსის“ კონტრაქტი გააფორმა. ჯგუფის წევრები ალბომ „ქეთჩ ენდ ფაიას“ ჩაწების ფირზე აღბეჭდვას აგრძელებდა.

თავისი ფირებიდან იგი განსაკუთრებით ერთ ეპიზოდს გამოჰყოფს.

„ტაქსი გაფუჭდა, ბობი მანქანიდან გადმოვიდა, საბარგულიდან საბურავი ამოიღო და მძღოლს მის გამოცვლაში დაეხმარა. იგი საკუთარ თავს სხვებისგან გამორჩეულად არ მიიჩნევდა და სხვისთვის დახმარების გაწევისა არ ეშინოდა. ეს მისი ადამიანურობისა და გულწრფელობის შესახებ მეტყველებს“ — ამბობს ანდერსონი.

ქრონიკის დიდი ნაწილი იამაიკის დედაქალაქ კინგსტონშია გადაღებული, სახლში, სადაც მაშინ „აილენდ რექორდსის“ ოფისი მდებარეობდა, ამჟამად კი ბობ მარლის მუზეუმია განთავსებული.

სწორედ ესთერ ანდერსონმა გააცნო ბობ მარლი რასტამან დანიელ ჰარტმანს, იამაიკაში ცნობილ მხატვარს და როგორც თავად ამბობს, მიხვდა, რომ სწორედ რასტამანობა და რეგი იყო ის საწყისები, რამაც ახალ მუსიკალურ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი.



რის შემდეგ გასტროლებს მართავდნენ, მათ ჯერ კიდევ არავინ იცნობდა და ალბომი არც ისე კარგად იყიდებოდა.

ანდერსონის თქმით, მათი ალბომის მოსმენისთანავე იგი მიხვდა, რომ ანსამბლს დიდი პოტენციალი ჰქონდა.

1973 წელს მსოფლიოში „ბითლზის“ და „როლინგ სთოუნზის“ ჰანგები მეფობდა და იამაიკიდან რაიმე განსაკუთრებულს არავინ მოელოდა. ანსამბლისადმი ყურადღების მიპყრობის მიზნით ანდერსონმა ბობ მარლისა და „უოლერსის“ ფოტოგრაფირება დაიწყო, გარდა ამისა, კარიბის ზღვის ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ ფილმის გადაღება გადაწყვიტა.

„მაშინ ბობ მარლი ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობ იყო, აუტსაიდერს ჰგავდა, ყველასგან შორს ეჭირა თავი“ — ამბობს იგი.

იამაიკაზე დაბრუნების შემდეგ ანდერსონი თავისი სამოყვარულო კინოკამერით გადაღებებსა და „უოლერსის“ წევრე-

1973 წელს ესთერი იამაიკიდან გაემგავრა, ფირები და ფოტოგრაფიები სტუდია „აილენდ რეკორდსში“ დატოვა და უკან დაბრუნებულს გამოუცხადეს, რომ ფირები დაიკარგა.

ისინი 2000 წელს შემთხვევით იპოვეს. ანდერსონს ბრიტანელმა კინოდოკუმენტალისტმა ჯერემი მარმა მიაკითხა და არატრადიციული მუსიკალური მიმდინარეობების შესახებ დოკუმენტური ფილმისათვის ინტერვიუ სთხოვა. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ იმ კინომასალას შორის, რომელსაც მარი თავისი ფილმებისათვის იყენებდა, მისი ფირებიც იყო.

38 წლის შემდეგ ესთერ ანდერსონმა ამ მასალის მიხედვით საკუთარი ფილმის გადაღება გადაწყვიტა, სახელწოდებით „ბობ მარლი — ლეგენდის შექმნა“. ბობ მარლი 30 წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ მისი მუსიკა ამჟამად უფრო პოპულარულია, ვიდრე მის სიცოცხლეში იყო.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# იაპონელი ინჟინრები რეაქტორების გაგრილებას ცდილობენ

**იაპონელი ინჟინრები მიწის ძვრისა და ცუნამის შედეგად სერიოზულად დაზიანებული ატომური რეაქტორების გაგრილების მიზნით ფართომასშტაბიან ოპერაციას აწარმოებენ.**




რადიაციის მაღალი დონის გამო მეხანძრეები გამომუშავებული ბირთვული ღეროების წყლის ქვემეხებით გაგრილებას ვერ ახერხებენ.

ამჟამად მესამე და მეოთხე რეაქტორებს სპეციალური სახანძრო აღჭურვილობის და მძიმე, ჩინუკის ტიპის სამხედრო ვერტმფრენების საშუალებით აგრილებენ.

ხელისუფლები იმედოვნებენ, რომ უახლოეს მომავალში ატომურ ელექტროსადგურზე ელექტროენერგიის მიწოდება განახლდება, რაც გაციების სისტემის ამუშავებას გახდის შესაძლებელს.

უკანასკნელი მონაცემების თანახმად, იაპონიაში მიწისძვრისა და მისი მომყოლი ცუნამის შედეგად 5178 ადამიანი დაიღუპა. 8600-ზე მეტი უგზო უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

იაპონიის „ფუკუსიმა 1 ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი აფეთქების შემდეგ ჩინეთის ხელისუფლებმა იაპონიას არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის სრულად და დროულად მიწოდება მოითხოვა.

გარდა ამისა, იაპონიის ატომურ ელექტროსადგურებში მომხდარი აფეთქების შემდეგ პეკინმა თავის ტერიტორიაზე ახალი ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის დაწყება გადადო. არსებულ ატომურ სადგურეზე შემოწმებები დაინიშნა.

ამჟამად ჩინეთში მოსახლეობა გამალებული ყიდულობს იოდის შემცველ მარილს და სხვა პროდუქტებს. მრავალ სუპერმარკეტში მარილის მარაგი ამოიწურა.

გავრცლებული ცნობების თანახმად, აშშ-ის ხელისუფლებმა ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის გარშემო 80 კმ-იან ზონაში მცხოვრებ თავის მოქალაქეებს რაიონის დატოვებისაკენ მოუწოდა, ან სულაც ქუჩაში იშვიათად გამოსვლა ურჩია.

გავრცელებული ცნობების თანახმად, იაპონიაში განთავსებული ამერიკული სამხედრო შენაერთების პირად შემადგენლობას რადიაციის საწინააღმდეგო საშუალებები დაურიგეს.

რუსეთის შორეულ აღმოსავლეთსა და აშშში აფთიაქებიდან იოდის შემცველი პრეპარატები გაქრა. იოდს რადაიციის წინააღმდეგ პრევენციული ზომის სახით იყენებენ.

გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელი, თავადაც წარმოშობით იაპონიელი იუკია ამანო ახლ მომავალში იაპონიაში გამგზავრებას აპირებს.

ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურში არსებულ ვითარებას იგი მეტად სერიოზულად ეკიდება და ინფორმაციის უშუალოდ ადგილზე, პირველწყაროებიდან მიღება სურს.

რადიაციის ყველაზე მაღალი დონე მესამე რეაქტორზე აღინიშნება. გავრცელებული ცნობების თანახმად, პრობლემები აქვს ფუკუსიმას სადგურის ექვსივე რეაქტორს, პირველ, მეორე და მესამე რეაქტორებზე აფეთქებები მოხდა, სავარაუდოდ, წყალბადი აფეთქდა, მეოთხე რეაქტორზე ხანძარი მოხდა, მეხუთე და მეექვსე რეაქტორეზე ტემპერატურა იზრდება, თუმცა, ეს რეაქტორები სპეციალისტების ნაკლებ შეშფოთებას იწვევენ.

იაპონიის ხელისუფლებმა ატომური ელექტროსადგურის მუშაკებისათვის რადიაციის დასაშვები ნორმა 100-დან 250 მილირენტგენამდე გაზარდეს, რადგან მათ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ — იაპონიაში ამ დარგის დაუსხივებელი სპეციალისტები უბრალოდ აღარ დარჩა.

სპეციალისტების თქმით, ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურში ამჟამად არსებული რადიაციის დონე არ არის ისეთი, რომ სხივური დაავადება გამოიწვიოს, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ ძვლის ტვინის მიერ ლეიკოციტების გამომუშავება 2-4%-ით შეამციროს, რაც ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკს ზრდის.

ამასთან, რადიაციის ასეთი ოდენობით დასხივება მიიღეს იმ პირებმა, ვინც ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგების ლიკვიდაციაზე მუშაობენ. ამასთან, დასხივების დოზის შემცირების მიზნით პერსონალი მხოლოდ მცირე დროის განმავლობაში მუშაობდა.

რეაქტორების მეზობელი რაიონების მოსახლეობის დასხივება კიდევ უფრო ნაკლებია.

ხელისუფლების მთავარ ამოცანად, სპეციალისტების თქმით, ატომური რეაქტორის მიმდებარე რაიონებიდან მოსახლეობის გახიზვნა უნდა იქცეს. გარდა ამისა, ფარისებრი ჯირკვლის მიერ რადიოაქტიური იოდის დაგროვების თავიდან აცილების მიზნით მოსახლეობას „სუფთა“ იოდის შემცველი პრეპარატები შეიძლება მისცენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ იაპონელთა დიეტა მდიდარია იოდით, რაც დასხივების შედეგებთან ბრძოლაში სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს.

სპეციალისტების ვარაუდით, ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურში ავარიის შედეგების ჩერნობილთან შედარებაც არ შეიძლება.

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მოხდა აფეთქება, რის შედეგად რეაქტორი მთლიანად განადგურდა, ხოლო გარემოში დიდი რაოდენობით რადიოაქტიური ნივთიერებები გაიფრქვა.

ჩერნობილის ავარიამ უარყოფითად ძირითადად მიმდებარე რაიონების მოსახლეობაზე მოახდინა ზეგავლენა, განსაკუთრებით ბავშვებზე.

გარდა რადიაციიის საფრთხისა, გავრცელებული ცნობების თანახმად, უბედურების ზონიდან ევაკუირებულ იაპონელებს სურათი და მედიკამენტები არ ჰყოფნით, გარდა ამისა, აღინიშნება პირველად მოთხოვნილების საგნების უკმარისობა.

ფუკუსიმას პრეფექტურის გუბერნატორის, იუჰეა სატოს თქმით, ევაკუირებულთა შორის იზრდება მრისხანება და სასოწარკვეთილება, მათი მოთმინების ფიალა კი ბოლომდე აივსო. იაპონიის პრესას მიაჩნია, რომ მთავრობა და ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი კომპანია „ტოკიო ელექტრიქ ფაუერი“ მოსახლეობას ავარიის შესახებ სრულ ინფორმაციას არ აწვდიან.

ამჟამად დროებით ბანაკებში 450 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს, მრავალი მათგანი იძულებულია სკოლების სპორტულ დარბაზებში დაიძინოს.

# ლიბიელი მეამბოხეები კადაფის ჯარების მორიგი იერიშებისათვის ემზადებიან

ლიბიიდან გავრცელებული ცნობების თანახმად, მეამბოხეებმა ქალაქ აჯდაბიას მახლობლად სამთავრობო ჯარებს უკან დაახევინეს.

აჯაბია ლიბიის ოპოზიციის დასაყრდენ ქალაქ, ბენგაზისაკენ მიმავალ გზაზე უკანასკნელ მსხვილ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს.

გავრცელებული ცნობების თანახმად, აჯაბიასთან მიმდინარე ბრძოლების დროს მეამბოხეებმა პირველად გამოიყენეს ტანკები, არტილერია და ვერტმფრენები. მუამარ კადაფის ერთგული ჯარები მეამბოხეებს შეიარაღების მხრივ აღემატებიან.

ლიბიის ტელევიზიის ინფორმაციით კი კადაფის ძალებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ქალაქი მისრატი, რომელიც ქვეყნის დედაქალაქ ტირპოლიდან 211 კმ-ის სამხრეთით მდებარეობს.

არსებული რთული ვითარების გამო წითელი ჯვრის ორგანიზაციამ ბენგაზის რაიონიდან თავისი თანამშრომლების გაწვევის შესახებ განცხადება გაავრცელა. ადგილობრივ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას მათ სურსათის და პირველადი მოთხოვნილების საგნების მარაგი დაუტოვეს, რაც ერთი თვის განმავლობაში 15 ათასი ადამიანისათვის იქნება საკმარისი.

ბენგაზის რაიონში ბრძოლები რამდენიმე დღეა მიმდინარეობს, სამთავრობო ჯარები მეამბოხეების პოზიციებს ჰაერიდან ბომბავენ.

ლიბიის ოპოზიციის ლიდერებმა მსოფილო საზოგადოებრიობას საჰაერო თავდასხმების შეწყვეტის წინააღმდეგ ზომების მიღების თხოვნით რამდენჯერმე მიმართეს.

# რუსთაველის თეატრში „ჰამლეტის“ კომიქსი გათამაშდება

**ეკა ირემაშვილი**

20 მარტს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ახალგაზრდა რეჟისორი, ლევან ხვიჩია, მაყურებელს უილიამ შექსპირის უკვდავი „ჰამლეტის“ კომიქსს შესთავაზებს. „ჰამლეტი. კომიქსი“ — ასეთია სპექტაკლის სახელწოდება.

სპექტაკლი პროექტ „ახალი ტალღის“ ფარგლებში დაიდგა, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორების ხელშეწყობასა და მათი სპექტაკლების დადგმას რუსთაველის თეატრის სცენაზე ითვალისწინებს. ყველა ახალბედა რეჟისორი, რომელიც პროექტ „ახალ ტალღაში“ მონაწილეობს, რობერტ სტურუას მაგისტრანტია. ლევან ხვიჩიამ გაიარა კონსულტაციები რობერტ სტურუასთან, რომელიც ამჟამად საქართველოში არ იმყოფება, სპექტაკლის შეფასება კი ახალგაზრდა რეჟისორმა თეატრის მმართველ ზაალ ჩიქობავასა და მსახიობ ზაზა პაპუაშვილს სთხოვა.

ლევან ხვიჩიამ სპექტაკლში ძირითადად თავისი მეგობრები და ახალგაზრდა მსახიობები დააკავა. კლავდიუსი — ბექა სონღულაშვილი, ჰერტრუდა — მანანა აბრამიშვილი, ჰამლეტი — ედვარდ მინაშვილი, ჰორაციო — კახა კუპატაძე, პოლონიუსი — პაატა გულიაშვილი, ოფელია — ქეთი სვანიძე, ლაერტი — ირაკლი სანაია, მამის აჩრდილი — გელა თავბერიძე. სპექტაკლის მხატვრები შოთიკო ბაზალიშვილი და გიორგი უსტიაშვილი არიან, ხოლო რეჟისორის თანაშემწე რუსუდან ბარბაქაძეა.

„ჰამლეტი. კომიქსი“ — ეს არის ერთმოქმედებიანი სპექტაკლი, რომლის პრემიერაც 20 მარტს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე შედგება, შემდეგ კი წარმოდგენა რუსთაველის თეატრის რეპერტუარში ჩაჯდება.

# სამგლოვიარო განცხადებები

შპს სახელმწიფო კომპანია „საქნავთობტრანსის“ მუშაკები ვახტანგ კიკნაძე, ნოდარ კვირიკაშვილი, მურმან ბერაძე, ბაური გლოველი და ლია ანანიაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი პიროვნებისა და უახლოესი მეგობრის

**ანზორ ბარამაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**პარასკევი 18 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. "**ფარი**" (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი "**ძმები ვიტმანები**" (12) **03.05** მხ. ფ. "**რამდენიმე კარგი ბიჭი**" (ტ. კრუზი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "7 მომაკვდინებელი ცოდვა" **20.00** მხ. ფილმი "**ნაციონალური უსაფრთხოება**" **01.00** მხ. ფილმი "**სარკეს ორი მხარე აქვს**" (12)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **10.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. "**შენ ჩემი სიცოცხლე ხარ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** პროფილი **16.50** სერ. "**მორენას ვნება**" **18.30** სერ. "**გაორება**" **18.50** სერ. "**დანიელა**" **19.50** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** მხ. ფ. "**დაუმარცხებელი**" (18) (უ. სნაიპსი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ."**ორნახევარი კაცი**" **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ."**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** გადაცემა "**105** წუთი" (პირდ.) **22.50** მხ. ფილმი (სუბტ.) **01.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერ."ლოლას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლოლას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 ღამის შოუ 00.00 მხ. ფ."რა სურთ ქალებს" (მ. გიბსონი) (სუბტ.) 02.15 "ფლეიბოი იმედზე" 03.00 მხ. ფილმი "ილაის წიგნი" (15) (სუბტ.) 05.15 მხ. ფილმი "წერილები ჯულიეტასთვის" (სუბტ.) 06.30 სერ. "ბოშები"**

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. "**ადვოკატი**" **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **12.50, 19.30** სერ. "**მაფია**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ."**ეპოქის ვარსკვლავი**" **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "სიმებიანი კვარტეტი "თბილისი" **11.15** დიდმარხვის მეორე კვირის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**თუში მეცხვარე**" მე-2ს. **13.50** კონცერტი – ნიჟინარი და სახიობა **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი "**მაია წყნეთელი**" **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** დოკ. ფილმი "დაგვიანებული ქორალი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი "**თუში მეცხვარე**" მე-3ს. **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა **00.35** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**18 მარტი**

აშშ დოლარი — 1,7097

ევრო —2,383

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7477

რუსული რუბლი — 0,0596

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 18-29, ღამით — 8-11

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-21, ღამით — 11-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 19-1§, ღამით — -1-7

## ამინდის პროგნოზი 18 მარტისთვის





## ქართული ფლორის საოცრება

# „სალხინო"

## უებარი წამალია



„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.:** 14-41-58, 95-90-60.


# ქეცბაიას იძულებითი ცვლილება — ვაწაძის ნაცვლად მოდებაძე



საქართველოს ნაკრებს 2 უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. 26 მარტს ჩვენები შინ ხორვატებს დაუხვდებიან, ხოლო 19-ში უკვე ისრაელს ესტუმრებიამ. ამ მატჩებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული და თემურ ქეცბაიაც ცდილობს ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყაროს თავი. თუმცა, უკვე გამზადებულ შემადგენლობაში ერთი ცვლილების გაკეთება იძულებით მოუწია.

ცნობილი გახდა, რომ სავიზო პრობლემების გამო საქართველოში ვერ ჩამოდის რუსეთის ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" თავდამხმელი მათე ვაწაძე. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც რუსეთიდან ქართველი ფეხბურთელი ეროვნული ნაკრების დახმარებას ვერ ახერხებს. მსგავსი ფაქტები ადრეც მრავლად ყოფილა.

ქეცბაიამ ამ ეტაპზე ოპტიმალურ ვარიანტს მიაგნო და ვაწაძის ნაცვლად გუნდი რუსთავის „ოლიმპის" შემტევ ირაკლი მოდებაძეს უხმო.

მოდებაძე ქეცბაიას ფორმაციის ნაკრებში აქამდე ერთხელ იყო გამოძახებული სლოვენიის ნაკრებთან სათამაშოდ. მოდებაძეს საქართველოს ნაკრებში ერთი მატჩი კლაუს ტოპმიოლერის დროსაც აქვს ჩატარებული და მაშინაც ამხანაგურ მატჩში.

მ. ჟ.

# ასტროპროგნოზი 18 მარტისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

არ აჩქარდეთ.

**ვერძი** — მშვიდად იმოქმედეთ, არ იჩქაროთ. **კურო** — არ აყვეთ პროვოკაციას, თავი აკონტროლეთ. **ტყუპები** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **კირჩხიბი** — სამსახურში სიახლე დაგხვდებათ, შეიძლება დაგაწინაურონ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — ფულს შოულობთ, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **სასწორი** — საკუთარ თავზე იფიქრეთ, არ გადაიღალოთ. **ღრიანკალი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** — საქმიანი შეხვედრა თქვენ სასარგებლოდ დასრულდება. **თხის რქა** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **მერწყული** — თავდაჯერებული ხართ, თავის წარმოჩენას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ვიტამინები.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 21 მარტიდან

**100 წიგნი**

## „ახალი თაობა" და „საოჯახო ბიბლიოთეკა"

# გთავაზობთ

# სუპერპროექტს

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 1**

# განდი

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


## იუმორი



— გუშინ ზღვის გოჭი ვიყიდე, ონკანიდან აკვარიუმში წყალი ჩავასხი, შიგ ჩავსვი, ის კი ადგა და ჩაიძირა...

— სულელო, მარილი უნდა ჩაგეყარა, მაინც ზღვის გოჭია და მტკნარი წყალი სწყენს...

კლიენტი ბანკში იპოთეკის შეთანხმების ხელმოწერას აპირებს. ბანკის კლერკიკალამს აწვდის და ეუბნება:

— ხომ გესმით, რომ საპროცენტო განაკვეთი წელიწადში 25% იქნება?

— დიახ, მესმის, — პასუხობს კლიენტი და დოკუმენტს ჩასცქერის.

— ის თუა გასაგები, რომ პროცენტების გათვალისწინებით ბინის საერთო ღირებულება ნომინალზე ოთხჯერ მეტი იქნება?

— დიახ, გასაგებია, — პასუხობს კლიენტი და კალამს ჰკიდებს ხელს.

ამ მომენტში ბანკში ნიღბიანი ტიპი შემოვარდა ხელში ავტომატით და იღრიალა.

— არავინ გაინძრეს, ეს ძარცვაა.

კლიენტი იპოთეკის შეთანხმებას თვალს არ აშორებს:

— დიახ, მესმის, რომ ძარცვაა, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, ბინა ძალიან მჭირდება...

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 2. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. წყნარი ოკეანის კუნძული, სადაც განთავსებულია აშშ-ის ერთ-ერთი უმსხვილესი სამხედრო საზღვაო-საჰაერო ბაზა; 5. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 6. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 9. თევზების შემსწავლელი ზოოლოგიის ნაწილი; 10. მეფე ერეკლე მეორის კარზე მოღვაწე სომეხი აშუღი; 11. ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენის გამო; 14. ქუთაისური ლუდი; 16. მტაცებელი ფრინველი; 18. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი სული.

**თარაზულად:** 1. მე-13 საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი ხულოს რაიონში; 4. აზერბაიჯანის კუთვნილი ნახევარკუნძული კასპიის ზღვაზე; 7. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 8. სამკუთხედის წვეროდან მოპირდაპირე გვერდის შუა წერტილამდე გავლებული სწორი ხაზი; 12. მოძღვრება მორალისა და ზნეობის შესახებ; 13. ქართველი მრეწველი, პოპულარული უალკოჰოლო სასმელების შემქმნელი; 15. უბანი თბილისში; 17. ხელზე მოსამსახურე ბიჭი სასტუმროში; 19. მიწის სათხრელი მანქანა; 20. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 21. ამერიკელი მულტიპლიკატორი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

